# საქართველოს რესპუბლიკა

გამოცემის მე-100 წელი






იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდვითი სიტყვაა, ცუღლუტობით და ჭორებით ბურთის გატანა ყველა უპატიოსნობაზე უსამაგლესია.

ოთხშაბათი, 27 ივნისი. 2018 წ. №131 (8532), | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 50 თეთრი.


## გლობალიზაცია და სიღარიბე გვანადგურებს...



### ავთანდილ სულაბერიძე:

## დემოგრაფიული უფსკრული!

3

## ხელისუფალნო!

### ვინ არის პასუხისმგებელი უხარისხო გზებზე, რომელშიც 6,3 მილიარდი დაიხარჯა?!

2



## «ფუძეობა»

### ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით საქართველოს რვა რეგიონში გაიმართება

**26 ივნისს საქართველოს ბანკის სათავო ოფისში რეგიონალური ფოლკლორული ფესტივალის „ფუძეობა“ პრეზენტაცია გაიმართა. „ფუძეობა“ საქართველოს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის, პროექტ CHECK IN GEORGIA-ს, საქართველოს ბანკის გენერალური მხარდაჭერით და მუნიციპალიტეტების ჩართულობით ხორციელდება.**

„ფუძეობა“ კომპანია GeoTourist-ის საავტორო სოციალური პროექტია, რომლის მიზანია საქართველოს რეგიონალური კულტურის განვითარების ხელშეწყობა და მხარდაჭერა. ფესტივალის სლოგანია „დაუბრუნდი ერთი დღით შენს ფუძეს“. „ფუძეობა“ 2018 წლის ივლისიდან ნოემბრის ჩათვლით, საქართველოს რვა რეგიონში გაიმართება. ფესტივალის ფარგლებში, ღონისძიებები განხორციელდება: სამცხე-ჯავახეთი – ბაკურიანი – 21 ივლისი, ზემო სვანეთი – მესტია – 29 ივლისი, მცხეთა-მთიანეთი – ყაზბეგი – 11 აგვისტო, რაჭა-ლეჩხუმი და ქვემო სვანეთი – ამბროლაური – 27 აგვისტო, შიდა ქართლი – ნიქოზი – 29 სექტემბერი, სამეგრელო – ფოთი – 6 ოქტომბერი, გურია – ოზურგეთი – 12 ოქტომბერი, კახეთი – ყვარელი – 8 ნოემბერი. თითოეულ ღონისძიებაზე ერთ სივრცეში იქნება წარმოდგენილი რეგიონის ფოლკლორული მახასიათებლები. ღონისძიებაში მონაწილეობას 10 000- მდე ადამიანი მიიღებს, როგორც რეგიონის ფოლკლორის წარმომადგენლები, ასევე პოპულარული ქართველი შემსრულებლები.



აქტივობა სიმბოლურად გამოხატავს რეგიონიდან წასული ადამიანების ფუძეზე დაბრუნებას, რაც ემსახურება ფესტივალის სლოგანსა და მთავარ მოწოდებას „დაუბრუნდი ერთი დღით შენს ფუძეს“; ასევე, ღონისძიების ფარგლებში მოეწყობა რეგიონის ფოლკლორული ანსამბლებისა და ფოლკლორის ინდივიდუალური შემსრულებლების კონცერტი (ცეკვა, სიმღერა, მელექსეობა). დასკვნით კონცერტებში მონაწილეობას მიიღებენ ნიაზ დიასამიძე და ჯგუფი 33ა, ანსამბლი „ერისიონი“, ნიკოლოზ რაჭველი და საქართველოს ეროვნული სიმფონიური ორკესტრი; ანსამბლი „რუსთავი“, დავით არჩვაძე, ნატო მეტონიძე, ლიზა ბაგრატიონი, ანსამბლი „შვიდკაცა“ ასევე, პროექტის ფარგლებში დაგეგმილია თეატრალური წარმოდგენები: ქართული ტრადიციული საბრძოლო ხელოვნების, ბერიკების, მეზურნეების, მედუდუკეების, მედოლეების წარმოდგენები.

## მაინც რატომ დაჭრეს ირაკლი ნოზაძე?!

### დაკავებულია ორი დამნაშავე



**შინაგან საქმეთა სამინისტროს თბილისის პოლიციის დეპარტამენტის დიდუბე-ჩუღურეთის სამმართველოს თანამშრომლებმა ჩატარებული ოპერატიულ-სამძებრო და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, 1989 წელს დაბადებული თ.ჯ. განზრახ მკვლელობის მცდელობის ბრალდებით, ხოლო მისი მეგობარი – 1994 წელს დაბადებული ნ.თ. დანაშაულის შეუტყობინებლობის ბრალდებით დააკავეს.**

გამოძიებით დადგინდა, რომ თ.ჯ.-მ მიმდინარე წლის 25 ივნისს თბილისში, წერეთლის გამზირზე, ურთიერთშელაპარაკების ნიადაგზე, ცივი იარაღით სხეულზე დაზიანება მიაყენა 1979 წელს დაბადებულ ირაკლი ნოზაძეს.

თ.ჯ. შემთხვევის ადგილიდან თანმხლებ პირთან ერთად მიიმალა. მის მიერ ჩადენილი დანაშაული 7-დან 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს, ხოლო მის მეგობარს დანაშაულის შეუტყობინებლობისთვის 2-დან 4 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთა ემუქრება.

სამართალდამცველებმა ორივე ბრალდებული თბილისში, მოსკოვის გამზირზე მდებარე ერთ-ერთ საერთო საცხოვრებელ სახლში დააკავეს.

გამოძიება განზრახ მკვლელობის მცდელობის და დანაშაულის შეუტყობინებლობის ფაქტებზე, საქართველოს სსკ-ს 19-108-ე მუხლით და 376-ე მუხლით მიმდინარეობს.

## გოგონები მთვრალები იყვნენ თუ... კაიფში?..



მომღერალ ზურა ხაჩიძის ინფორმაციით, გოგონები, რომლებმაც ირაკლი ნოზაძე დაჭრეს, არაფხიზელ მდგომარეობაში იმყოფებოდნენ:

**„ეს გოგონები ჩემი ინფორმაციით, რასაც მეუბნებიან მეზობლები, არ იყვნენ ფხიზელ მდგომარეობაში. ეს იყო თრობით მიღებული, ეს იყო ნარკოტიკების ზემოქმედების ქვეშ, ნამდვილად ვერ გეტყვით ამას“,** – აცხადებს ზურა ხაჩიძე. რაც შეეხება მესამე პირს, ხაჩიძე ამბობს, რომ მისი ინფორმაციითაც, მანქანაში მესამე პირი იმყოფებოდა: **„მეც მაქვს ეს ინფორმაცია, რომ მესამე პირიც იმყოფებოდა მანქანაში, მაგრამ იმ სახლთან გარე პერიმეტრის კამერები არის, ალბათ სამართალდამცავებს უკვე აქვთ კადრები ამოღებული და შესაბამისად დაველოდით გამოძიებას“,** – აცხადებს ხაჩიძე. დაჭრილი ირაკლი ნოზაძე ღუდუშაურის საავადმყოფოში იმყოფება, სადაც გასულ ღამეს მას ოპერაცია ჩაუტარდა. ნოზაძეს ჭრილობა გულის არეში აქვს მიყენებული.

### დაუნდობელი დრო!

## დასაცავი გაგვხდომია „ესე ენაი შემკული და კურთხეული!..“

7



## ახალი სახეები მთავრობაში

**კონსულტაციები მინისტრთა კაბინეტის ახალ სახეებთან დაკავშირებით დასრულებულია,** — ამის შესახებ პრემიერ-მინისტრმა მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე გააკეთა განცხადება, სადაც სტრუქტურულ ცვლილებებთან დაკავშირებით ისაუბრა.

**„კონსულტაციები დასრულებულია, თქვენ იცით, რომ ჩვენ გვქონდა ძალიან ინტენსიური კონსულტაციები როგორც ახალ სტრუქტურაზე, ასევე, განვითარების პროგრამაზე, მათ შორის იმ ახალ სახეებზე, რომლებიც საქართველოს მთავრობაში იქნება. შესაბამისი კონსულტაციები, ფაქტობრივად, დასრულებულია“,** — განაცხადა მამუკა ბახტაძემ, თუმცა მან არ დაასახელა კონკრეტული გვარები.

კვლავ უცნობია, ვინ შეინარჩუნებს თანამდებობას მოქმედი მინისტრებიდან. მამუკა ბახტაძის განცხადებით, მთავრობის წევრების შემადგენლობა პარლამენტს კანონით დადგენილ ვადაში წარედგინება.

## ქვეყანაში 10 სამინისტრო რჩება

**პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ სამთავრობო სტრუქტურული ცვლილებების შესახებ ისაუბრა. ბახტაძის განცხადებით, სამინისტროების რაოდენობა 14-დან 10-მდე შემცირდება. ასევე იქნება ერთი სახელმწიფო მინისტრის აპარატი.**

კულტურისა და სპორტის სამინისტრო შეერწყმება განათლების სამინისტროს.

სასჯელაღსრულების სამინისტრო შეერწყმება იუსტიციის სამინისტროს.

ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, დევნილთა და განსახლების სამინისტრო უქმდება და მისი ფუნქცია სამ სხვადასხვა უწყებაზე გადანაწილდება. დევნილთათვის განსახლების ფუნქცია გადავა ინფრასტრუქტურის სამინისტროში, მიგრაცია შსს შეითავსებს, ხოლო სოციალურ პოლიტიკას — ჯანდაცვის სამინისტრო.

რელიგიის სააგენტო შეერწყმება შერიგებისა და სამოქალაქო თანასწორობის სახელმწიფო აპარატს.

ეკონომიკის სივრცითი კომპონენტი გადავა ინფრასტრუქტურის სამინისტროში.

**— დარწმუნებული ვარ, ამ ცვლილებებით ჩვენ დასაბამს მივცემთ მცირე მთავრობის კონცეფციის განხორციელებას, რადგან სწორედ ასეთი მთავრობის ყოლა შედის ჩვენი ხალხის ინტერესებში. შემცირდება სამთავრობო ხარჯები და ეს მთლიან შიდა პროდუქტთან მიმართებაში ჩამოვა 3.9 %, ჩვენთვის ეს ნიშნული იქნება ის მაქსიმუმი, რომლითაც უნდა ვიხელმძღვანელოთ“,** — განაცხადა ბახტაძემ.

მისი თქმით, დაზოგილი ბიუროკრატიული ხარჯები მოხმარდება ქვეყნის მოსახლეობის პრობლემების მოგვარებას.

## ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში 33 პირია შეყვანილი



ამის შესახებ განცხადება, საქართველოს პრემიერ-მინისტრმა საგანგებო ბრიფინგზე გააკეთა. მამუკა ბახტაძის თქმით, სიაში შეყვანილი არიან ბრალდებული და მსჯავრდებული პირები, რომლებიც მხილებული არიან უმძიმეს დანაშაულებებში

**„ოთხოზორია-ტატუნაშვილის სიაში“ შეყვანილი არიან ბრალდებულები და მსჯავრდებულები, რომლებიც მხილებულები არიან ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების წინააღმდეგ ჩადენილ ისეთ დანაშაულებში, როგორიცაა მკვლელობა, გატაცება, წამება და ამ დანაშაულთა დაფარვა. სიაში ჯერჯერობით შეყვანილია 33 კაცი, რომლებმაც 1991 წლიდან დღემდე ოკუპირებულ ტერიტორიებზე საქართველოს მოქალაქეების მიმართ სხვადასხვა დანაშაული ჩაიდინეს. წარმოდგენილი სია ამომწურავი არ არის, რადგან სამართალდამცველი უწყებები აგრძელებენ გამოძიებას და ეს სია შეიძლება, კიდევ უფრო გაიზარდოს“,** — განაცხადა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ მთავრობის ადმინისტრაციაში გამართულ ბრიფინგზე.

## ჩამოსვამს თუ არა ბახტაძე შავი ჯიპებიდან სახელმწიფო მოხელეებს?!

გიორგი კვირიკაშვილმა თანამდებობა ისე დატოვა, რომ შავი ჯიპებიდან თანამდებობის პირების გადმოსმა ვერ მოასწრო.

**„ვფიქრობ, დროა, საქართველოში შავი ჯიპების ეპოქა დავასრულოთ, რადგან ეს ყველას აღიზიანებს და არ დაგიმალავთ, მეც, მათ შორის,“** — განაცხადა რამდენიმე თვის წინათ ჯერ კიდევ პრემიერმა კვირიკაშვილმა, თუმცა მისი განცხადება, ისე როგორც ბევრი სხვა, მხოლოდ პიარ-განცხადებად დარჩა. როგორც ჩანს შავი ჯიპების თემა აქტუალური იქნება ახალი პრემიერ-მინისტრისთვისაც.

თბილისის მერის კახა კალაძის განცხადებით, ახალ პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს შავ ჯიპებთან დაკავშირებით საკუთარი ხედვა აქვს, რომელიც სამთავრობო ავტოპარკს სასიკეთოდ შეცვლის.

ამის შესახებ კალაძემ „ინტერპრესნიუსს“ განუცხადა, რითიც უპასუხა კითხვას, რამდენად ტოვებს ძალაში მამუკა ბახტაძე ქვეყნის ყოფილი პრემიერის გიორგი კვირიკაშვილის მიერ დაანონსებულ ინიციატივას, რომლითაც სამთავრობო უწყებებში შავი ჯიპები ეკოლოგიურად სუფთა და ნაკლებდანახარჯიანი ავტომობილებით უნდა ჩანაცვლებულიყო.

**„არის განსხვავებული მიდგომები შავ ჯიპებთან დაკავშირებით და დაველოდოთ პრემიერის განცხადებას“,** — აღნიშნა კალაძემ და კითხვაზე: უნდა ველოდოთ თუ არა პრემიერ-მინისტრის ახალ ინიციატივას ავტომანქანების ჩანაცვლების საკითხზე, დასძინა: „დიახ, სასიკეთოდ უნდა ველოდოთ“.

**„პრემიერი თვითონ გააჟღერებს ინფორმაციას, როგორ, რანაირად უყურებს ამ ჩანაცვლების პროცესს. არ მინდა წინასწარ, პრემიერის მაგივრად გავაკეთო განცხადება. რაც შეეხება მუნიციპალიტეტის დონეზე ავტოპარკის საკითხს, მერიას შავი ჯიპები აღარ ჰყავს. პირიქით, ზედამხედველობის სამსახურის რეფორმის ფარგლებში ახლა შევიძინეთ ჰიბრიდული ავტომობილები, ტექნიკა და უახლოეს მომავალში წარმოვადგენთ განახლებულ სამსახურს“,** — განაცხადა კალაძემ.



# ხელისუფალნო!
## ვინ არის პასუხისმგებელი უხარისხო გზებზე, რომელშიც 6,3 მილიარდი დაიხარჯა?!



**6,3 მილიარდი ლარი ინფრასტრუქტურაში — შეცვლილი 6 მინისტრი, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის 5 ხელმძღვანელი და 82-ე ადგილი მსოფლიოში ბოტსვანას და ჰონდურასის შემდეგ.**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაფინანსებამ 2012 -2018 წლებში 6 მილიარდ 351 მილიონ 177 848 ლარი შეადგინა. სოლიდური დაფინანსების ფონზე „მსოფლიო ეკონომიკურმა ფორუმმა“ გზების ხარისხის მიხედვით გლობალური კონკურენტუნარიანობის ინდექსში საქართველო 82-ე ადგილზეა.შვიდბალიანი შეფასებით, 3,8 ქულით შეფასდა გზების ხარისხი საქართველოში და სამხრეთ აფრიკაში მდებარე ბოტსვანის რესპუბლიკისა და ცენტრალური ამერიკის სახელმწიფო ჰონდურასის გვერდით აღმოჩნდა.

**რატომ აქვს ასეთი დაბალი შეფასება გზების ხარისხს საქართველოში?**

„ქართულმა ოცნებამ“ ხელისუფლებაში მოსვლისთანავე ინფრასტრუქტურული პროექტები პრიორიტეტად დაასახელა. რატომ ვერ სრულდება გზების მშენებლობა დათქმულ ვადებში, როცა სახელმწიფო ბიუჯეტიდან დაფინანსება და დონორების ფული შეუფერხებლად ნაწილდება?!

**ვინ არის პასუხისმგებელი ჩავარდნილ ინფრასტრუქტურულ პროქტებზე და გზების დაბალ ხარისხზე?**

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს ბიუჯეტი 2012 -2018 წლებში

- 2018 წელი — 1 მილიარდ 033 500 ლარი;
- 2017 წელი —1 მილიარდ 288 047 ლარი;
- 2016 წელი - 965 მლნ 842 500 ლარი;
- 2015 წელი — 898 მლნ 398 000 ლარი;
- 2014 წელი — 904 მლნ 961 100 ლარი;
- 2013 წელი — 929 მლნ 500 000 ლარი;
- 2012 წელი — 663 მლნ 054 700 ლარი.

**ინფრასტრუქტურული „მინისტრთცვენა“**

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროში 6 წლის მანძილზე 6 მინისტრი შეიცვალა. რამდენიმე პირადი განცხადებით წავიდა, ზოგი „გაუშვეს“. ოფიციალურად წასვლის მიზეზად ინფრასტრუქტურული პროექტების „ნელი ტემპი“ დასახელდა. წლების განმავლობაში სამინისტრო სოლიდურ დაფინანსებას მიზანმიმართულად ვერ ხარჯავდა. მიუხედავად იმისა, რომ ჩავარდნილი ტენდერები, „ქართულ ოცნებასთან“ დაახლოებული ბიზნესჯგუფების და საეჭვო რეპუტაციის კომპანიების მონაწილეობა ინფრასტრუქტურულ პროექტებში პრესაში მწვავედ გაშუქდა, ეს საკითხი სამართლებრივი შესწავლის საგანი ამ დრომდე არ გამხდარა. ამის არაოფიციალურ მიზეზად კლანური მფარველობა სახელდება.

**რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის მინისტრები 2012 - 2018 წლებში**

- დავით ნარმანია;
- ელგუჯა ხოკრიშვილი;
- დავით შავლიაშვილი;
- ნოდარ ჯავახიშვილი;
- ზურაბ ალავიძე;
- მაია ცქიტიშვილი.

ხშირად ხმაურით ან მოულოდნელად იცვლებოდნენ საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ხელმძღვანელებიც. 2012-2018 წლებში აქ საკადრო ცვლილება 5-ჯერ მოხდა.

2012 წელს საპარლამენტო არჩევნებში „ქართული ოცნების“ გამარჯვების შემდეგ დეპარტამენტის თავმჯდომარედ **ზაქარია ხუნძაყიშვილი** დაინიშნა, რომელიც **დავით შავლიაშვილმა** შეცვალა (მას ოპოზიცია ღარიბაშვილ-ჯანყარაშვილის კლანის წევრად მოიაზრებს). შემდეგ უწყებას **ვაჟა ფანჩულაძე** **ხ**ელმძღვანელობდა, რომელმაც თანამდებობა პირადი განცხადების საფუძველზე დატოვა. ყველაზე დიდხანს თავმჯდომარის თანამდებობას **გიორგი სეთურიძე** იკავებდა, რომელიც 2018 წლის აპრილში **ირაკლი ქარსელაძემ** ჩაანაცვლა.

მიუხედავად მედიაში, ოპოზიციური პარტიების თუ არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა თუ გაკეთებული ხმაურიანი განცხადებისა, ჩავარდნილ ინფრასტრუქტურულ პროექტებზე და გზების დაბალ ხარისხზე დღემდე პასუხი არავის არავისთვის მოუთხოვია.

**ნინო ნატროშვილი**



## ავთანდილ სულაბერიძე:

# დემოგრაფიული უფსკრული!

**დაწყებულია დეპოპულაციის პროცესი, რაც ნიშნავს იმას, რომ მოსახლეობა აღარ მრავლდება, გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა ოდენობას აჭარბებს!**



**1994-2017 წლების პერიოდში საქართველოს მოსახლეობის რიცხოვნობა კლების ტენდენციით ხასიათდება და დაახლოებით 3 721 000-ს შეადგენს. 1994 წლიდან ქვეყნიდან დაახლოებით 1,260.7 ათასი კაცით მეტი გავიდა, ვიდრე შემოვიდა. მოსახლეობის რიცხოვნობის კლებასთან ერთად, 1994-2018 წლებში შეიცვალა მოსახლეობის ასაკობრივი სტრუქტურაც. ბუნებრივი მატების კოეფიციენტი დადებითი იყო 2000 წლამდე, პოზიტიური ტენდენცია გაგრძელდა 2008 წლიდან 2017 წლის ჩათვლით, — ამის შესახებ საუბარია „საქსტატის" მიერ გამოქვეყნებულ მონაცემებში, რომლის პრეზენტაციაც სტატისტიკის ეროვნული სამსახურის აღმასრულებელმა დირექტორმა გოგიტა თოდრაძემ გამართა.**

**არსებულ პრობლემებსა და გამოსავლის გზებზე „საქართველოს რესპუბლიკა" ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის დემოგრაფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის დირექტორს, პროფესორ ავთანდილ სულაბერიძეს ესაუბრა.**

**— ბატონო ავთანდილ, ქვეყანაში დემოგრაფიულ მდგომარეობას როგორ აფასებთ, რა ძირითად აქცენტებს გამოყოფთ?**

— შობადობის არსებული მაჩვენებელი თაობათა განახლებისთვის საკმარისი არ არის. მოკვდავობის დონე გაიზარდა. ასევე, გაიზარდა დაბერების მაჩვენებელიც. 65 წელს გადაცილებულმა მოსახლეობამ საქართველოს მთელ მოსახლეობაში თოთხმეტ პროცენტს გადააჭარბა. დაბალია სიცოცხლის მოსალოდნელი ხანგრძლივობა როგორც მამაკაცთა, ასევე ქალთა შორის. მათ შორის სიცოცხლის ხანგრძლივობის სხვაობა 8 წელს შეადგენს, რაც სიტუაციას კიდევ უფრო ამძაფრებს.

მაღალია ემიგრაციის დონე. თუ 1992 წლამდე მოსახლეობის რაოდენობის ზრდას ბუნებრივი მოძრაობა განსაზღვრავდა და მიგრაცია არსებით როლს არ თამაშობდა, 1992 წლის შემდეგ გარე მიგრაციული პროცესები მოსახლეობის რაოდენობის შემცირების გადამწყვეტი ფაქტორი აღმოჩნდა. დღეისთვის ქვეყნიდან გაცილებით მეტი გადის, ვიდრე შემოდის. ეს, თავისთავად, მოსახლეობის სტრუქტურასთან ერთად, სხვა დემოგრაფიულ მაჩვენებლებსაც არღვევს.

დემოგრაფიული ვითარება კრიტიკულზე მძიმეა, რომლის იქით დემოგრაფიული უფსკრულია. დაწყებულია დეპოპულაციის პროცესი, რაც ნიშნავს, რომ მოსახლეობა აღარ მრავლდება, გარდაცვლილთა რაოდენობა დაბადებულთა ოდენობას აჭარბებს.

**— მიმდინარე უარყოფითმა პროცესებმა რა შედეგები შეიძლება გამოიწვიოს?**

— გაეროს პროგნოზებიც ადასტურებს, რომ 2050 წლისთვის საქართველოს მოსახლეობა ორ მილიონამდე შემცირდება. უნდა გავითვალისწინოთ, რომ აღნიშნულზე განსაკუთრებულ გავლენას ემიგრაცია ახდენს. თუნდაც 2017 წლის მაჩვენებლით, ჩვენთან მიგრაციულმა სალდომ ასეთი სურათი გვაჩვენა — 8 ათასით მეტი გავიდა ქვეყნიდან, ვიდრე შემოვიდა.

ეს მაჩვენებელი უფრო მეტი სხვაობის იქნებოდა, რომ გარედან საქართველოში უცხო ქვეყნების მოქალაქეები არ შემოსულიყვნენ. აქ არიან სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლები — ინდოეთიდან, ჩინეთიდან, აფრიკის ქვეყნებიდან, თურქეთზე, ირანზე, სომხეთსა და აზერბაიჯანზე რომ აღარაფერი ვთქვათ.

თუ დეპოპულაციასთან ერთად, ემიგრაციული პროცესი ასეთი ტემპით გაგრძელდა, საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით. გვეყოლება ეროვნულად, კონფესიურად და რასობრივად ჭრელი ევროპული ქვეყნების მსგავსი „ეგზოტიკური" მოსახლეობა. თუმცა ამ კუთხით ევროპაში გარკვეული უკუპროცესი შეინიშნება, თუნდაც გერმანიასა და საფრანგეთში.

დღეს საქართველოს მოსახლეობაში ქართველთა წილი 86,8%-ია. მხოლოდ 6,3% აზერბაიჯანელია და 4,5% სომეხი, დანარჩენი ერთ პროცენტზე ნაკლებია. თუ დეპოპულაციასთან ერთად, ემიგრაციული პროცესი ასეთი ტემპით გაგრძელდა, საკუთარ ქვეყანაში უმცირესობაში აღმოვჩნდებით.

**— ამ მხრივ უახლოეს სამეზობლოში რა მდგომარეობაა?**

— დეპოპულაციის მხრივ რუსეთს ჩვენზე უარესი მდგომარეობა აქვს.

აზერბაიჯანში მოსახლეობა, ჩვენთან შედარებით, მაღალი ბუნებრივი მატების შედეგად იზრდება და დღეს საქართველოს მოსახლეობას თითქმის ორჯერ აღემატება.

სომხეთში დეპოპულაციური პროცესები უახლოეს წლებშია მოსალოდნელი.

თურქეთსა და ირანში საერთო დემოგრაფიული სიტუაცია სტაბილურია და ჩვენთან შედარებით ბევრად უკეთესი ვითარებაა. არ გამოვრიცხავ მათ მიგრაციას საქართველოსკენ, მით უფრო, ეს პროცესი დაწყებულია...

**— ქვეყანაში დაუსრულებელი დემოგრაფიული კრიზისის კონკრეტულ მიზეზებს რაში ხედავთ, ჩამონათვალი როგორია?**

— უმუშევრობისა და სიღარიბის მაღალი დონე უცხოეთში ემიგრაციას უწყობს ხელს. გარდა ამისა, როგორც კვლევები გვიჩვენებს, დასაქმებასთან ერთად, განათლების მიღების მიზნით სტუდენტები უცხოეთში მასობრივად მიდიან — რაც განათლების სისტემაში არსებულ მნიშვნელოვან ხარვეზებზე მიუთითებს.

დემოგრაფიულ ვითარებას, სხვა მიზეზებთან ერთად, საბინაო ფონდის პრობლემებიც ამძიმებს. ამიტომ ოჯახები არ იქმნება, უკეთეს შემთხვევაში, დაოჯახება უკეთესი მერმისისთვის გადავადდება.

აუცილებელია მწარმოებლური ოჯახის სტიმულირება, განსაკუთრებით რაიონებსა და სოფლებში. უპრიანია, ინვესტიცია წარვმართოთ მწარმოებლური ოჯახისკენ, რაც შეამცირებს მომხმარებლურ ოჯახთა რაოდენობას და დემოგრაფიული პოლიტიკა ბევრად ეფექტიანი იქნება.

ყველაფერი ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობიდან გამომდინარეობს. ბავშვთა ყოლა ადამიანის სულიერი მოთხოვნილებაა და ყველას სურს, თუნდაც ერთი შვილის ყოლა, ხოლო მომდევნო რიგითობის ბავშვზე უარი უკვე სოციალურ-ეკონომიკურ პრობლემებს უკავშირდება.

ქალთა მზარდი ემიგრაცია ქვეყნის რეპროდუქციულ პოტენციალს ამცირებს. აღნიშნულის კომპენსაცია ახალგაზრდებში ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების ამაღლებით უნდა მოხდეს. ეს უკვე წმინდა დემოგრაფიული პოლიტიკის საკითხებია.

მიზეზები უსასრულოდ შეიძლება ჩამოვთვალოთ. მაგრამ უმთავრესი მიგრაციის გამომწვევი მძიმე სოციალურ-ეკონომიკური ფაქტორებია.

**— მთავრობა რა ნაბიჯებს დგამს არსებული სიტუაციის გამოსასწორებლად?**

— ვერ ვხედავ, რომ ამ თვალსაზრისით, განსაკუთრებით მიგრაციის შეჩერების თვალსაზრისით, რამე მნიშვნელოვანს აკეთებდეს, გარდა ცალკეული, უშედეგო პოპულისტური ღონისძიებებისა. ახლა მრავალშვილიანი დედის სტატუსზეა საუბარი, რომელიც მეოთხე შვილიდან მიენიჭება დედას, რაც არასწორად მიმაჩნია.

საქმე ისაა, რომ კლასიკური, დემოგრაფიული განმარტებით, მრავალშვილიანად ითვლება ხუთ და მეტშვილიანი დედა, სამ და ოთხშვილიანი საშუალოშვილიანი ოჯახია, ხოლო ერთ და ორშვილიანი არის მცირეშვილიანი.

არსებული დემოგრაფიული ვითარების გათვალისწინებით, მრავალშვილიანი დედის სტატუსი გამონაკლისის სახით მესამე შვილიდან უნდა მივანიჭოთ, რადგან დღეს ჩვენი პრობლემა ოჯახში მესამე შვილია. აშკარა ტენდენციაა, რომ ქვეყანაში პირველი და მეორე შვილიც მცირდება.

ამ ფონზე მრავალშვილიანი დედის სტატუსის მეოთხე შვილიდან მინიჭება (ოჯახში არსებულ მძიმე სოციალურ-ეკონომიკურ სიტუაციაში), დემოგრაფიული თვალსაზრისით ნაკლებეფექტიანი იქნება, ხოლო მესამე შვილიდან მინიჭება, ბავშვთა ყოლის მოთხოვნილების არსებული დონიდან გამომდინარე, გარკვეულ დემოგრაფიულ ეფექტს მოგვცემს.

სტატუსის განსაკუთრებული მნიშვნელობიდან გამომდინარე, ოჯახს მორალურად წაახალისებს და ამ დროს უფრო შესაძლებელია, მესამე შვილის ყოლის სტიმული მისცეს.

ამის მაგალითია კათოლიკოს-პატრიარქის მოწოდების ეფექტი მესამე და მომდევნო შვილის ყოლაზე, რის შედეგადაც მთელ დაბადებულებში მესამე და მეტ შვილთა ხვედრითი წილი 22%-მდე გაიზარდა. ამიტომ შეიძლება, ითქვათ, რომ ამ საქმეში პატრიარქი უფრო მეტს აკეთებს, ვიდრე მთავრობა.

თუნდაც მთიანი რაიონები ავიღოთ, სადაც ლოკალური სახის დახმარებები არსებობს, 200 თუ 100 ლარის ფარგლებში. თავიდანვე ვამბობდი, რომ ეს არავითარ დემოგრაფიულ ეფექტს არ მოიტანდა, რადგან მთიანეთი ახალგაზრდობისგან დაცლილია, მესამე შვილზე მოთხოვნილება დაბალია. პირველი და მეორე დაბადებულ ბავშვთა რაოდენობა კი მცირდება.

**— ამ მძიმე ვითარებიდან გამოსავალი თუ არსებობს?**

— გამოსავალი ბიუჯეტის სამართლიან განაწილებაშია. ოჯახებს პირველივე ბავშვის დაბადებიდანვე უნდა დავეხმაროთ. მაგალითად, თუნდაც ერთი წლის მანძილზე, თვეში 30-ლარიანი დახმარება ერთ და ორბავშვიან ოჯახებს რომ მივცეთ, ამისთვის 14 მილიონ 800 ათასი ლარი გვჭირდება. მესამე და შემდგომ ბავშვზე 50-50 ლარი, რასაც 7 მილიონ 300 ათასამდე ლარი სჭირდება.

საერთო ჯამში, დაბადებულთა დღევანდელი რაოდენობიდან გამომდინარე, ყველა ბავშვზე მისაცემი თანხა 22 მილიონი ლარი გამოდის.

მაპატიეთ, მაგრამ ქვეყანა ამ საქმისთვის 22 მილიონ ლარს რომ ვერ გამონახავს, ნამდვილად უწერია „დემოგრაფიული სიკვდილი". დროა საქმის წალმა კეთება ვისწავლოთ.

ამიტომ კეთილი ინებონ, ჯერ აუცილებელი დემოგრაფიული ღონისძიებები (ნაწილი მაინც) დააფინანსონ და შემდეგ თავიანთი ხელფასები დაგეგმონ. ეს იქნება ქვეყნის მომავალზე ფიქრი და შესაბამისი პოლიტიკური ნება. ამით მოიხვეჭენ ავტორიტეტსაც და დეპუტატის სტატუსსაც გაამართლებენ.

გარდა ამისა, აუცილებელია მწარმოებლური ოჯახისკენ შემობრუნება. ძლიერი ოჯახი ძლიერი სახელმწიფოა და ამისთვის არაფერი კეთდება. დეპოპულაციის მქონე მთიან რაიონებში შესანიშნავი პირობებია მეფუტკრეობის, მეღორეობის, მეცხოველეობისა და ტურიზმის განვითარებისთვის. ეს უნდა გამოვიყენოთ და მწარმოებლური ოჯახის განვითარების პირობები შევქმნათ.

მოსაგვარებელია საგზაო ინფრასტრუქტურა. ყველა სოფელში გზებია გასაყვანი, რომ მოსახლეობა დილით სოფლიდან რაიონულ ცენტრში წამოვიდეს და საღამოსკენ უკან დაბრუნდეს. ამით საბინაო პრობლემაც არ ჰქონდეს და მოსახლეობა ადგილზე შევინარჩუნოთ.

ბევრი ღონისძიებაა, რომელიც განხილვას და გადაწყვეტას მოითხოვს. სწორი მოქმედება გვჭირდება, რომ ბიუჯეტში ახალშობილებისთვის დაფინანსება მოიძებნოს. მით უფრო, რომ ეს დედებისგან და მათივე ოჯახებისგან ბიუჯეტში შეტანილი ფულიდან უნდა მოხდეს. არ უნდა ვიძუნწოთ და შვილებისთვის უკან დავუბრუნოთ. ვალდებული ვართ, შვილები დავუფინანსოთ.

**ესაუბრა**
**შავლეგ ბერიძე**

## რეგიონული კონფერენცია „ფული პოლიტიკაში"

**საერთაშორისო ორგანიზაციების მხარდაჭერით და სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ორგანიზებით, სასტუმრო „რედისონ ბლუ ივერიაში" მესამე რეგიონული კონფერენცია გაიხსნა თემაზე — „ფული პოლიტიკაში".**



**კონფერენციას 10 ქვეყნის პოლიტიკური ფინანსების მონიტორინგის განმახორციელებელი სტრუქტურის 100-ზე მეტი წარმომადგენელი და საერთაშორისო ექსპერტი დაესწრო. კონფერენციის მიზანია ცენტრალურ და აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების პოლიტიკური ფინანსების სფეროში არსებული აქტუალური საკითხების იდენტიფიცირება, გამოცდილების გაზიარება, არსებული მექანიზმებისა და მონიტორინგის შედეგების გაუმჯობესება.**

**კონფერენციაზე განიხილება ისეთი მნიშვნელოვანი თემები, როგორიცაა: პოლიტიკური დაფინანსების წყაროები, კრიპტოვალუტის გამოყენება პოლიტიკაში, სამოქალაქო საზოგადოების, როგორც დამკვირვებლის როლი და ეფექტური ფინანსური მონიტორინგის ორგანოები, ქალი კანდიდატების თანაბარი ხელმისაწვდომობა და გენდერული ბალანსი, პოლიტიკური ფინანსების თანამედროვე განვითარება და გამოწვევები, სოციალური მედიის როლი და სხვა.**

ეს უნდა იცოდეთ!

# რა შემთხვევაში შეამოწმებს ჯანდაცვის სამინისტრო პაციენტის დანიშნულებას?

**იმ შემთხვევაში, თუ ექიმის მიერ გამოწერილ დანიშნულებაში პაციენტს ხუთი, ან მეტი დასახელების მედიკამენტი ექნება მითითებული, მას შეეძლება, ჯანდაცვის სამინისტროს აღნიშნული დანიშნულების გადამოწმებისთვის მიმართოს.**

როგორც სამინისტროს ჯანმრთელობის დაცვის დეპარტამენტის რეგულირების სამმართველოს უფროსი ნათია ნოღაიდელი BM.GE-თან საუბრისას განმარტავს, შემოწმების მექანიზმი ძალიან მარტივი იქნება.

**კერძოდ, არსებობს კრიტერიუმები, რომლის შემთხვევაშიც სამინისტრო რეაგირებას მოახდენს და რეკომენდაციას გასცემს პაციენტის მიმართ. სამინისტრო რეკომენდაციას გასცემს მაშინ, როდესაც დანიშნულებაში არის სხვადასხვა სავაჭრო დასახელებით ერთი და იგივე გენერიული პროდუქტი ორი და მეტი რაოდენობით; ასევე, იმ შემთხვევაში, თუკი ერთი და იგივე ფარმაკოლოგიური ჯგუფის მედიკამენტებია დანიშნული ორი ან მეტი რაოდენობით. გარდა ამისა, როდესაც დანიშნულებაში არის მედიკამენტების აბსოლუტური შეუთავსებლობა, ისევე როგორც მაშინ, როდესაც ორზე მეტი ანტიბიოტიკი აქვს პაციენტს დანიშნული. არსებობს მეხუთე კრიტერიუმიც — როდესაც პაციენტს ბიოლოგიურად აქტიური დანამატები აქვს დანიშნული,** — განმარტა ნათია ნოღაიდელმა.




მისივე ინფორმაციით, პაციენტის მიერ ჯანდაცვის სამინისტროში როგორც ელექტრონული, ისე სოციალური მომსახურების ცენტრში წერილის შეტანის გზით წარმოდგენილ დანიშნულებებს სპეციალურად პოლიფარმაციის პრევენციისთვის შექმნილი სამუშაო ჯგუფი გაეცნობა, რომელიც ტექნიკური ადმინისტრატორებითა და კლინიკური ფარმაკოლოგებით იქნება დაკომპლექტებული.

ნათია ნოღაიდელის თქმით, აღნიშნული ჯგუფი ახლა ყალიბდება და იმდენი ადამიანი იქნება ჯგუფში, რამდენიც საჭიროა არსებული დატვირთვიდან გამომდინარე.

სამინისტროში აცხადებენ, რომ პაციენტის მკურნალობის პროცესში ისინი არ ერევიან, რადგან მათი მხრიდან არ მოხდება მედიკამენტის დანიშვნის მიზნობრიობის საკითხის განხილვა, არამედ, სამინისტრო შეამოწმებს, ხომ არ არის პაციენტის დანიშნულებაში გარკვეული რისკები ზემოთ აღნიშნული კრიტერიუმების დარღვევასთან დაკავშირებით.

**მხოლოდ ზემოთ აღნიშნულ კრიტერიუმებთან შეუსაბამობის დადგენის შემთხვევაში გასცემს სამინისტრო რეკომენდაციას როგორც პაციენტის, ისე ექიმის მიმართ, ხოლო იმ შემთხვევაში, თუ ერთი ექიმის მიმართ წლის განმავლობაში იქნება ძალიან ბევრი ფაქტი ამასთან დაკავშირებით დაფიქსირებული, შესაძლებელია, ეს მომავალში გარკვეული სანქციების გამოყენების საფუძველი გახდეს,** — განმარტავენ სამინისტროში.

პოლიფარმაციის პრევენციის მექანიზმის ამოქმედების ზუსტი თარიღი უცნობია, თუმცა ნათია ნოღაიდელის თქმით, ის უახლოეს მომავალში დაიწყებს მუშაობას.

BM.GE

როცა ხელფასი ყველაფერს ჰყოფნის

# რომელ ქვეყნებშია მოსახლეობისთვის ყველაზე ხელმისაწვდომი გაზი?

**რუსულმა სააგენტო „რია ნოვოსტიმ“ ჩაატარა კვლევა სხვადასხვა ქვეყანაში გაზის ხელმისაწვდომობის თაობაზე. აღსანიშნავია, რომ საუბარია არა გაზის ფასზე — ის შეიძლება იყოს დაბალიც და მაღალიც, კვლევა სწავლობს მხოლოდ ხელმისაწვდომობას, ანუ გაზის სამომხმარებლო ტარიფის შეფარდებას მოსახლეობის საშუალო შემოსავალთან.**

სწორედ ამიტომ აღმოჩნდა, რომ რეიტინგის ლიდერი ქვეყნების უმრავლესობაში გაზი ძალიან ძვირია, თუმცა ეს სიძვირე კომპენსირდება მაღალი შემოსავლით.

კვლევაში გამოყენებულია ევროსტატის, გაეროს, როსსტატისა და სხვა ორგანიზაციების მონაცემები.

1. **ლუქსემბურგი**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 8 391,6 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 478,1 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 4,8%; ლუქსემბურგი იკავებს პირველ ადგილს მსოფლიოში, იმის მიუხედავად, რომ იქ გაზი ძალიან ძვირია.

2. **ყაზახეთი**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 7 440,2 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 55,8 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში 8,2 %; გაზით და ნავთობით მდიდარი ყაზახეთი იკავებს მეორე ადგილს რეიტინგში. ხელფასები ყაზახეთში საკმაოდ დაბალია, მით უმეტეს ევროპის უმდიდრეს ქვეყნებთან შედარებით, თუმცა სახელმწიფო ახდენს მოსახლეობისთვის ბუნებრივი გაზის მიწოდების სუბსიდირებას, რის გამოც ყაზახებს არ უჭირთ მისი შეძენა.



3. **რუსეთი**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 6 357,1 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 95,2 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 4,7 %. კიდევ ერთი გაზის მომპოვებელი პოსტსაბჭოთა ქვეყანა გავიდა მე-3 ადგილზე; რუსეთში კუბური მეტრი გაზი ღირს დაახლოებით 10 ცენტი.

4. **ლიხტენშტეინი**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 5 981,5 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 992 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 4,4%; ლიხტენშტეინში გაზი უკიდურესაც ძვირია, თუმცა, ამის მიუხედავად, ევროპული ჯუჯა-სახელმწიფო – მე-4-ა მსოფლიოში გაზის ხელმისაწვდომობის კუთხით.

5. **ბრიტანეთი**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 5 598,9 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 575 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 4,4 %; ბრიტანეთიც არის გაზის მომპოვებელი, თუმცა მისი საბადოები აკმაყოფილებს ქვეყნის მოთხოვნილებას მხოლოდ 40%; შესაბამისად, იმპორტთან ერთად სამომხმარებლო ტარიფი საკმაოდ მაღალია, თუმცა, 2017 წელს ის გაიაფდა 4,4%-ით.

6. **ბელგია**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 4103 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 662 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 3,3%; ბელგია იკავებს მე-6 ადგილს რეიტინგში. აქ საშუალო შემოსავალი საკმარისია 4 103,9 კუბური მეტრი გაზის საყიდლად.

7. **გერმანია**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 3 923,4 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 731,6 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 5,1 %. ევროკავშირის ეკონომიკურად ყველაზე ძლიერი ქვეყანა იკავებს მე-7 ადგილს მოსახლეობისთვის გაზის ხელმისაწვდომობის კუთხით. 2017 წელს გაზის ფასმა გერმანიაში იკლო 5,1%-ით.

8. **ირლანდია**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 3 630,6 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 779 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 4,2 %; ირლანდიაც შევიდა რეიტინგის ათეულში. გაზის ღირებულება ქვეყანაში 2017 წელს შემცირდა 4,2%-ით.

9. **ავსტრია**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 3 576,4 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება – 838,8 დოლარი; ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 3,7 %; ავსტრიის საშუალოსტატისტიკურ მოქალაქეს შეუძლია თავისი ხელფასით იყიდოს 3 576.4 კუბური მეტრი გაზი.

10. **ჰოლანდია**. გაზის რაოდენობა, რომლის ყიდვაც შესაძლებელია საშუალო ხელფასით – 3 495,2 კუბური მეტრი; 1000 კუბური მეტრის ღირებულება –- 978 დოლარი;. ტარიფის წლიური ცვლილება ეროვნულ ვალუტაში – 8,2 %; ლიდერთა ათეულის რეიტინგში ბოლო ადგილზეა ჰოლანდია. აქ გაზი ყველაზე ძვირია ევროპაში, ამიტომაც საშუალო ხელფასით ჰოლანდიელებს შეუძლიათ თითქმის 2,5 -ჯერ ნაკლები გაზის შეძენა, ვიდრე ლიდერებს – ლუქსემბურგელებს. გაზის ტარიფი ჰოლანდიაში გამოირჩევა სტაბილურობით – ის არც მცირდება და თითქმის არ იზრდება – 2017 წელს ბუნებრივი აირი ამ ქვეყანაში გაძვირდა მხოლოდ 0,9%-ით.

**„კომერსანტი“**




## კახა კალაძე: მობილურობა, ეფექტურობა, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება – ეს სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას

**„მივესალმები ბატონი მამუკას ხედვას. მან წარადგინა თავისი მიდგომები, თავისი ხედვები მცირე მთავრობასთან დაკავშირებით. ახლა მნიშვნელოვანია, ერთიანი ძალისხმევით შევუდგეთ საქმის კეთებას. ხალხს აქვს მოლოდინი იმისა, რომ რეფორმები, რომელიც არის დაწყებული, მნიშვნელოვნად წაადგება ქვეყნის ეკონომიკის განვითარებას, ეკონომიკურ წინსვლას, რომ ის კეთილდღეობა, რაზეც ჩვენ ვსაუბრობთ, აისახოს ჩვენს თითოეულ მოქალაქეზე. ძალიან მნიშვნელოვანია რეფორმა, რომელიც დაანონსდა -მობილურობა, ეფექტურობა, სწრაფი გადაწყვეტილებების მიღება — ეს სჭირდება დღეს ჩვენს ქვეყანას“,** — განაცხადა თბილისის მერმა კახა კალაძემ.

## ქალაქის გალამაზებასა და დასუფთავებაში ყველამ ჩვენი ვალდებულება უნდა ავიღოთ

**„ჩვენ ვიწყებთ ძალიან მნიშვნელოვანი პროექტის — „გაუფრთხილდი ქალაქს“ განხორციელებას, რაც ნიშნავს იმას, რომ ქალაქის გალამაზებასა და დასუფთავებაში ყველამ ჩვენი ვალდებულება ავიღოთ. ვიცი, ძალიან ბევრი ადამიანია მოხალისე, ვისაც სურვილი აქვს, მსგავს ღონისძიებაში ჩაერთოს. ჩვენ ერთმანეთს უნდა დავეხმაროთ, ხელი შევუწყოთ. პასუხისმგებლობა, რაც გვაქვს აღებული, კარგად გვესმის და ჩვენს გასაკეთებელს აუცილებლად გავაკეთებთ, თუმცა მოსახლეობის მხრიდან თანადგომა გვჭირდება. უამრავი მაგალითი შემიძლია მოვიყვანო და გაჩვენოთ ფოტოები — ახალი გაკეთებული სკვერები, ბაღები თუ რა მდგომარეობაშია და როგორ არის დაზიანებული. ვანდალიზმის ძალიან ბევრი ფაქტია. ერთმანეთის გვერდში დგომა გვჭირდება, რომ მოსახლეობას ავუხსნათ — რასაც დედაქალაქის მერია აკეთებს, ის თანხები, რაც იხარჯება, არის ამ ადამიანების შენატანი ბიუჯეტში, ჩვენ კი უბრალოდ მენეჯმენტს ვუწევთ თანხებს. ამდენად, მოსახლეობა მაქსიმალურად უნდა იყოს ჩართული და ერთად მოვუაროთ ჩვენს დედაქალაქს“,** — განაცხადა თბილისის მერმა კალაძემ.

ხელისუფლებას მუდამ უნდა ახსოვდეს, რომ თავისი მთავარი დასაყრდენი ძალა საშუალო ფენაა, ხალხია! დიახ, რაც უფრო ძლიერი იქნება ხალხი, მით უფრო ძლიერი გასაღების ბაზარი ექნება ქვეყანას და სახელმწიფოც და ხელისუფლებაც გაძლიერდება. ხოლო ქვეყნის ორმაგი სტანდარტებით მართვა, შიდა და გარე ეკონომიკური მოცემულობით ძალიან რთულია და მავანთა მიერ არის „შემოგდებული“, რათა სახელმწიფოები დასუსტდეს და „მთელ სამყაროს თავად დაეუფლონ“ (ოსვალდ შპენგლერი). ამიტომ ყველა ქვეყანა საკუთარი ეკონომიკური განვითარების ინდექსის შესაბამისად უნდა აწარმოებდეს ქვეყნის ეკონომიკურ პოლიტიკას, ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტების შესაბამისად. მხოლოდ ეს არის ჩვენი გადარჩენის ერთადერთი გზა და საშუალება! აუცილებელია ითქვას, რომ ყველა იმ ზემოთ ჩამოთვლილი საბჭოთა სიკეთის საფუძველი სწორედ მემარცხენე იდეოლოგია და აღნიშნული კოეფიციენტები იყო.

აქვე სამართლიანია, აღვნიშნოთ ახლა უკვე ყოფილი პრემიერის, ბატონი კვირიკაშვილის ბრძანებით მცირე და საშუალო მეწარმეთა მიმართ ახლახან მიღებული ინიციატივები, საგადასახადო სარგოს შემცირებასთან დაკავშირებით. ასევე მინდა გავიხსენო, წინანდელი პრემიერის, ბატონი ირაკლი ღარიბაშვილის მიერ ოჯახის ინსტიტუტის დაცვის მიზნით გადადგმული ნაბიჯები..

ადამიანებს გვქონდა ძალიან ჯანსაღი, მეგობრული ურთიერთობები ერთმანეთთან. არსებობდა ძლიერი ოჯახისა და ნათესაობის ინსტიტუტი. ნამდვილად არ ჰქონდა ადგილი ამდენ ჩაგვრას, ძალადობასა და ვანდალურ მკვლელობებს.

ახლახან 30-იანი წლების რეპრესიების მთავარი შემოქმედის ბერიას ქუჩა ეწოდა თბილისში გაგარინის ქუჩას. დიახ, იმ ბერიას სახელი, რომლის ინიციატივით, ხშირად სტალინისაგან მალულად, ათასობით უდანაშაულო ადამიანი იქნა დახვრეტილი (მათ შორის, ბაბუაჩემიც).

მაშინ, როცა კანონით ისჯება საბჭოთა სიმბოლოების ტარება, ხოლო სტალინის პიროვნება უგულებელყოფილია, თითქოს არაფერი გაუკეთებია ამქვეყნად!

ამიტომ საფუძვლიანი ეჭვი ჩნდება, რომ მსოფლიოს დღესაც ის ძალები მართავენ, რომლებსაც ბერია ეკუთვნოდა და საბჭოთა კავშირის განადგურება, მისი იმიჯის დამსხვრევა სურდათ. ამ ეჭვს ბრეივიკის ისტორიაც მიდასტურებს. დიახ, „ბატონი“ ბრეივიკი ათეულობით ახალგაზრდა სოციალისტის უმოწყალო განადგურების შემდეგ, საოცრად მსუბუქ სასჯელს იხდის საარაკოდ პრესტიჟულ სივრცეში და მაინც უსასრულოა მისი პრეტენზიები მავანის მიმართ იმ გარემოშიც! იქნებ დაინტერესდეთ მისი პრეტენზიების რეალურ საფუძვლებში! ასეთია ჩვენი წარსული, საიდანაც მოვდივართ, როგორც მოვედით.

* * *

მე მგონი, უპრიანია კითხვა — საბჭოთა კავშირი დაინგრა, ვინ იქნება შემდეგი?!

და სად ვეძებოთ გამოსავალი? და როგორ შეიძლება გვეშველოს?! ამ შემთხვევაში ავტორიტეტად მოვიშველიებ ძველი ბერძნების სიბრძნეს, ჩვენი უწმინდესის ქადაგებიდან და აბსოლუტური გონის მიერ შთაგონებულ სიცოცხლის მთავარი მამოძრავებელი სისტემის უნიკალურ მაგალითს, რათა გამოვიყენოთ და გავითვალისწინოთ იგი ქვეყნის მართვის მექანიზმებში.

ძველი ბერძნები ამბობდნენ: „ჭეშმარიტება მუდმივმოქმედი პროცესია ძიებისა და წვდომისა, რომლის დროსაც სულიერი და ფიზიკური ბუნება კი არ ორდება, პირიქით, სრულად ავლენს თავის თავს და ავლენს ამ ორი არსის ერთიანობას“, — გვასწავლიდნენ ძველი ბერძნები (ამონარიდი უწმინდესის ქადაგებიდან).

დიახ, ადამიანის სხეული — ეს ბიოკომპიუტერი, სამყაროს გვირგვინი, კარგად ორგანიზებული პატარა სამყაროა. ადამიანი გარემოსთან ჰარმონიის შენარჩუნების მიზნით საკუთარ თავში მოიცავს აბსოლუტური გონით შთაგონებულ მრავალ ფიზიოლოგიურ, ენერგეტიკულ სისტემას. ამიტომ მიზანშეწონილია და აუცილებელიც, ჩვენი ფიზიოლოგიური სისტემის კანონზომიერი მექანიზმები გათვალისწინებული იქნას ქვეყნის პოლიტიკური მართვის პროცესში. მხოლოდ ასეთ პირობებში შედგება ძლიერი სახელმწიფო, სადაც ადამიანი შეძლებს თავისი უნარების სრულ რეალიზებას, რომელიც აბსოლუტური გონის ჩანაფიქრს შეესაბამება. მით უფრო, ფიზიოლოგიური სისტემები ხშირად ბევრი საგულისხმო მინიშნების მატარებლები არიან.

დასასრული. დასაწყისი იხ. №129-130.




# გვეშველება რამე?

## დიახ, გვეშველება, გვეშველება!!!

— მაგალითად, სისხლის მიმოქცევის დიდი წრე, რომელიც იწყება გულის სწორედ მარცხენა პარკუჭიდან, თითქოს, მემარცხენე პლატფორმის შეხედულებებისა და მოთხოვნების მსგავსად, კვებავს მთელ ორგანიზმს, თან ორგანოების ფუნქციონირებისათვის საჭირო კოეფიციენტის შესაბამისად. მერე იქიდან წამოღებული ვენური სისხლით ჩადის მარჯვენა წინაგულში, იქიდან კი — მარჯვენა პარკუჭში. თითქოს გასამრჯელოს უხდის მცირე წრეს და დასაბამს აძლევს მას.

ხოლო მცირე წრე იწყება გულის სწორედ მარჯვენა პარკუჭიდან, მოიცავს ფილტვის არტერიას თავისი განშტოებებით, მდიდრდება ფილტვში, სადაც მემარჯვენე პლატფორმის მთავარი ფუნქციის „მსგავსად“ ქმნის სიცოცხლისათვის აუცილებელ „კაპიტალს“ — ჰემოგლობინით მდიდარ სისხლს, საიდანაც ფილტვის ვენებით ჩადის მარცხენა წინაგულში, იქიდან — მარცხენა პარკუჭში და დასაბამს აძლევს სისხლის მიმოქცევის დიდ წრეს. ამიტომ შეიძლება ითქვას: როგორც სისხლის მიმოქცევის დიდი და მცირე წრეების არსებობაა ერთმანეთზე დამოკიდებული, ასევე მემარჯვენეების საქმიანობის დადებითი შედეგი გამოვლინდება მხოლოდ მაშინ, თუ იგი შეესაბამება და დააკმაყოფილებს მემარცხენეების მოთხოვნებს!

აქვე კოეფიციენტზე უნდა გავამახვილოთ ყურადღება, რადგან, რაც არ უნდა ბევრი სისხლი მივაწოდოთ ღვიძლს, ის თირკმლის ფუნქციას ვერ შეასრულებს და ასე შემდეგ.

ხოლო ის თავისუფალი უჯრედები, რომლებიც ამოვარდებიან ორგანიზმის ფიზიოლოგიური სისტემების ფარგლებიდან, თანდათან ატიპურ-კანცეროგენულ უჯრედებად გარდაიქმნებიან და ადამიანის ორგანიზმს ფატალურ შედეგს უმზადებენ.

დიახ, ასე გვპასუხობს აბსოლუტური გონი მემარცხენე, მემარჯვენე მიმართულებების მნიშვნელობასა და ლიბერალური შეხედულებების მავნეობის შესახებ!

* * *

აქვე აუცილებელია, გავიხსენოთ დიდი ილიას ტკივილიანი კითხვა: — „მთელი ჩვენი არსებობის განმავლობაში ზედიზედ ასი წელიც კი არ ვყოფილვართ სრულად ერთიანი და ძლიერი, მაშ რამ გადაგვარჩინა, რა ძალამ და ღონემ გაუძლო ამდენ უკეთურებასო?“

და პასუხიც: — „ჩვენს ეკონომიკურ წესწყობაში საკუთრების ორგვარი მიმდინარეობა და ფორმა არსებობდა: ერთი საზოგადოსახაზინო ინტერესით და მეორე — საკომლოკერძო მფლობელობითო. ხოლო, როცა ფეხი აიდგა „განკერძოებამ“ და ამ მოწესრიგებულ ურთიერთობებს შორის წონასწორობა დაირღვა, ჩვენი მერმინდელი დასუსტების ძირითად მიზეზად სწორედ ეს გარემოება მიმაჩნიაო“. — დიახ, ასე წერდა, დღესაც ჩვენდა საცნაურად, დიდი ილია. ამ მოსაზრებას თავის მიმოხილვაში აღნიშნავდა და ეთანხმებოდა დიდი ივანე ჯავახიშვილიც.

სწორედ, როგორც ადრე, ქვეყნის ძირითად საყრდენს უბრალოდ, მშრომელი ხალხი წარმოადგენს! როცა მათ შორის კავშირი ირღვევა, ხალხსაც, ქვეყანასაც დიდი განსაცდელი ეწვევა ხოლმე

ამიტომ არსებული განსაცდელებისგან თავდასაღწევად, ჩინეთისა და სხვა ძლიერი ეკონომიკური მდგომარეობის მქონე ქვეყნების მსგავსად, როგორც მემარცხენე, ისე მემარჯვენე იდეები გავითვალისწინოთ, რისთვისაც საჭიროა ზემოთ აღნიშნული კოეფიციენტების გამოანგარიშება და დამკვიდრება. სხვაგვარად, ანუ დიქტატურის პირობებში, ქვეყანა ჭეშმარიტად ვერ განვითარდება და მოსახლეობაც კიდევ უფრო შემცირდება.

(სხვათაშორის, თავად მაფიოზურ იტალიაშიც კი გამოიყენეს ეს კოეფიციენტები, სიდუხჭირიდან ქვეყნის გამოსაყვანად).

აუცილებელია გავითვალისწინოთ, სწორედ იმიტომ დამარცხდა საბჭოთა კავშირი, რომ ის მემარჯვენე იდეოლოგიას სათანადო ყურადღებას არ უთმობდა. კაპიტალისტური სამყაროს ეკონომიკური კრიზისი კი სწორედ მემარცხენე იდეოლოგიის ხშირი იგნორირებით არის გამოწვეული. ხსენებული კოეფიციენტების გათვალისწინება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს ქვეყნის ეკონომიკურ მდგომარეობას და ხელს შეუწყობს სოციალურად უსაფრთხო გარემოს შექმნას.

და ბოლოს, ამ კოეფიციენტების გათვალისწინება არ ნიშნავს, მდიდართა ქონების სოციალიზაცია მოვითხოვოთ ქვეყნის სასარგებლოდ. ეს პროცესი დინამიკურად უნდა განვითარდეს, კოეფიციენტიც თანდათანობით უნდა შემცირდეს!

**მეცნიერების ვარაუდით, სამყაროს შემდგომი განვითარებისთვის კაცობრიობა აუცილებლად გადავა ჭეშმარიტად საკაცობრიო ღირებულების მქონე ახალ სისტემაზე — სოცკაპიტალიზმზე, რომლის პირობებშიც მოხდება კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ძირითადი მონაპოვრების შერწყმა, ხოლო იდეოლოგიას თანდათანობით მიემხრობა ყველა სოციალური ფენა!**

ქვეყნის ქონება და დაბალი სოციალური ფენების ეკონომიკური მდგომარეობა დინამიკურად და ჰარმონიულად უნდა განვითარდეს! ამის განსახორციელებლად საჭიროა გავითვალისწინოთ როგორც საბჭოთა ქვეყნის, ისე კაპიტალისტური ქვეყნების სამეწარმეო საქმიანობის მახასიათებლები. ხოლო ეკონომიკური მხარდაჭერა ჩვენი საბანკო სისტემიდან უნდა მივიღოთ, რადგან ყველაზე მეტად სწორედ მათ ნახეს საგულისხმო სარგებელი, ამ ბოლო პერიოდში, ჩვენი მოსახლეობის უდიდესი ნაწილის დაზარალებისას. ამიტომ სამართლიანი იქნება, ევროპულ სარბიელზე გასულმა ჩვენმა ბანკებმა ევროპული საპროცენტო განაკვეთის (წლიური 2-3 %) მქონე სესხები შესთავაზონ დაზარალებულ მოსახლეობას და ამით რეალურად დაეხმარონ ხალხსაც და სახელმწიფოსაც. მხოლოდ ამ გზით იქნება შესაძლებელი არა მხოლოდ მცირე სამეწარმეო საქმიანობის განვითარება, არამედ მათ მსხვილ წარმოებებად გარდაქმნაც!

გვახსოვდეს, მეცნიერების ვარაუდით, სამყაროს შემდგომი განვითარებისთვის კაცობრიობა აუცილებლად გადავა ჭეშმარიტად საკაცობრიო ღირებულების მქონე ახალ სისტემაზე — სოცკაპიტალიზმზე, რომლის პირობებშიც მოხდება კაპიტალისტური და სოციალისტური სისტემების ძირითადი მონაპოვრების შერწყმა, ხოლო იდეოლოგიას თანდათანობით მიემხრობა ყველა სოციალური ფენა!

დიახ, ეს ყველაფერი ლოგიკურია, გამომდინარე იქიდან, რომ დღეს თანამედროვე სახელმწიფოები იძულებული არიან ქვეყნის ეკონომიკური სისტემა მსოფლიოს ღია სისტემების სტანდარტების შესაბამისად მართონ, რაც არა მხოლოდ ჩვენი, მსოფლიო ეკონომიკური კრიზისის მთავარი მაპროვოცირებელი ძალაა, რაზეც უკვე ბევრს ლაპარაკობენ ინგლისში, საფრანგეთში და, სავარაუდოდ, მალე აშშ-იც იტყვის თავის სათქმელს! ასე რომ, პროგრესულად მოაზროვნე მსგავსი შეხედულებების მოკავშირეებიც შეიძლება მოვიძიოთ, თუ მოვინდომებთ! გარდა ამისა, როგორც იტყვიან ხოლმე „რატომ უნდა ვიყოთ პაპზე მეტად კათოლიკე“?!

ამ შემთხვევაში რუსეთთან მედიატორის როლის შესრულებასაც შევძლებთ, დასავლეთთან ურთიერთობის გამოსასწორებლად. მით უფრო, რომ ამის გაკეთება, ლოგიკურად თუ ვიმსჯელებთ, ორივე მხარეს აძლევს ხელს. ასეთი ცვლილებები აუცილებლად დაიწყება მალე მსოფლიოში და თუ ავანგარდშივე ჩავუდგებით ამ საქმეს სათავეში, საკუთარ პოზიციებს გავიმაგრებთ მსოფლიო ეკონომიკაში. ცხადია, ბატონ ბიძინა ივანიშვილის ჩართვა ამ მიმართულებით ქვეყნის შესაძლებლობებს მნიშვნელოვნად გაზრდის მსოფლიო მასშტაბით. გააანალიზეთ ის, რაც არსებულ საგარეო ეკონომიკურ პოლიტიკას ეწირება და თუ მის ნახევარს ახალი ეკონომიკური კურსის მიმართულებით, წარვმართავთ, ნაწილს კი ქვეყნის შიდა ეკონომიკას მოვახმართ, ქვეყანა გაძლიერდება, ხალხისა და ხელისუფლების ურთიერთობა გამოსწორდება და სოციალურ ფენათა თანაარსებობაც შესაძლებელი გახდება!

და ბოლოს, მავანთა გასაგონად: ყველა სოციალური ფენა ქვეყნის ცოცხალი ორგანიზმის შემადგენელი ნაწილია, თითოეულ მათგანს საკუთარი ენერგეტიკული კოდი და ვალდებულება გააჩნია ამ სამყაროში. ამიტომ თითოეულის რეალიზაცია და განვითარება აუცილებელია. სხვა შემთხვევაში, ცივილიზაციის ევოლუციური ჯაჭვის წყვეტასთან გვექნება საქმე და შედეგიც ფატალური შეიძლება აღმოჩნდეს!

ყოველი ადამიანი კი, ჭადრაკის ფიგურების მსგავსად, კაუზალურ რიგშია ჩართული და მათი ქმედებები გარემოებების მხრივაა განსაზღვრული. ამიტომაც წუხს, ხან მარტოსულობით იტანჯება, ხან სხვაზე ძალადობს, კლავს, ჩაგრავს, ზოგჯერ სუიციდით წყვეტს არსებობას. უჭირს ადამიანს, როცა ქვეყნის იდეოლოგია მას არ ეხმარება და კარგ თვისებებს არ ავითარებს მასში. რეალურად ადამიანი სავსებით მოკლებულია თავისუფლებას, ანუ იგი თავისუფალია მხოლოდ ნაწილობრივ და ფარდობითად. როდის, რა დროს გვაგებინებს პასუხს განგება არა მხოლოდ ჩვენს ცოდვებზე, არამედ ჩვენ თვალწინ სხვების მიერ ჩადენილ ბოროტებაზეც, არასდროს ვიცით. ეს აბსოლუტური გონის, შემოქმედის გაკვეთილია კაცობრიობის მიმართ, რათა მხოლოდ საკუთარი ინტერესებით არ შემოვისაზღვროთ და საზოგადო პრობლემებზეც ვიფიქროთ! ამიტომ, ჩვენც ასეთ ფორმატშიც შეგვიძლია მხოლოდ ცხოვრება! სოციალურ ფენათა თანაარსებობაც ამ ფორმატის ყველაზე ცივილური ფორმაა როგორც ღვთიური, ისე ევოლუციური თვალსაზრისით.

ასეთია ჩემი პასუხი კითხვაზე: — გვეშველება რამე? — გვეშველება, თუ გავითვალისწინებთ ზემოთ აღნიშნულს. მით უფრო, ეს ყველაფერი ერთმანეთისა და დროის თანხვედრაში მდგომარეობს. ხოლო დროის მოთხოვნების გათვალისწინება რამდენად აუცილებელია, ესეც გვითხრა ილიამ: — „თუ წუთისოფელს ერთი ბეწო ხანს თვალი მოუჩუჭე, ისე გაგთელავს, როგორც დიდოელი ლეკი ნაბადსა“.



ია საკანდელიძე

# სმენად მხეცნიც არ მოდიან!



## ნატო გელაშვილი: სანამ ქუჩის მუსიკოსების რეპერტუარის შეთანხმებას მოვითხოვთ, ჯერ ტელევიზია და რადიო გავასუფთავოთ საშინელი სიმღერებისგან

**თბილისის „ღამის ეკონომიკის“ პროექტის ხელმძღვანელის სერგი გვარჯალაძის ნათქვამმა, რომ შესაძლოა, ქუჩის მუსიკოსებისთვის რეგულაციები დაწესდეს, ამ პროფესიის ადამიანებს შორის გაუგებრობა გამოიწვია. სერგი გვარჯალაძის თქმით, არიან ქუჩის მუსიკოსები, რომლებიც კარგ მუსიკას გვთავაზობენ, მაგრამ მათ გვერდით არიან ისინიც, ვინც ვნებს ჩვენი მოქალაქეების ყურს და ტურისტებზეც არასასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ამდენად, გასათვალისწინებელია ლონდონის გამოცდილება, სადაც მუსიკოსი წინასწარ ათანხმებს რეპერტუარსა და ადგილს, თუ სად უნდა იმღეროს ადამიანმა და რომელ საათებში. ეს არ ნიშნავს, რომ ქუჩის მუსიკოსებისთვის საქართველოში ფულადი გადასახადი დაწესდება.**

სერგი გვარჯალაძის ნათქვამი მოგვიანებით თავისებურად განმარტა კახა კალაძემ. მან აღნიშნა, რომ ქუჩის მუსიკოსებს დიდ პატივს სცემს და მათ მიმართ სანქციების დაწესებას არ აპირებს. უბრალოდ, მერია გეგმავს ქუჩის მუსიკოსებს დაეხმაროს და ხელი შეუწყოს. მისივე განმარტებით, ქუჩის მუსიკოსებს შორის ბევრი ნიჭიერი ადამიანია. მათ შორის, წლების წინ მისი ყურადღება მიიქცია ჯგუფმა „ბანმა“, რომელიც მიწისქვეშა გადასასვლელში უკრავდა. იმ პერიოდში მილანში მცხოვრები კახა კალაძე იმდენად მოიხიბლა ამ ახალგაზრდების სიმღერით, რომ საქართველოში ჩამოსვლისას ბიჭებს შეხვდა, ფინანსურად დაეხმარა და დღეს ისინი მისი საუკეთესო მეგობრები არიან.

კომპოზიტორი და მომღერალი **ირმა სოხაძე** აცხადებს, რომ ძალიან გაუხარდებოდა, ქართველებმაც ლონდონის მაგალითით იხელმძღვანელონ, რადგან ჩვენ არავისზე ნაკლებნი არ ვართ, მაგრამ ჩვენი სოციალური და ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, ცოტა უხერხულია ქუჩის მომღერლებისთვის რეგულაციების დაწესებაზე საუბარი.

**— რამდენადაც ვხვდები, აქ საუბარია კარგი რეპერტუარის შერჩევაზე. მე არ ვიცი, ლონდონში ვინ რას აკეთებს, მაგრამ საინტერესოა, საქართველოში ვინ უნდა ჩაატაროს რეგულაცია, რომელმა საბჭომ, როგორი შემადგენლობით?! ამაზე კიდევ ცალკე თანხები გამოვყოთ, რომ პროფესიონალები დავსვათ და მათ გადაწყვიტონ, ვის მივცეთ ლიცენზია და ვის არა?! რაღაც აბსურდამდე მივდივართ. ერთხელ ვიხუმრე, ჩემი კოლეგების ნაწილს არა აქვს ლიცენზია და ისეთი მუსიკალური განათლება, როგორც საჭიროა, მაგრამ მშვენივრად დგანან სცენაზე და მშვენივრად მღერიან.**

**ხომ არ შეიძლება, ქუჩაში მდგარ მაწანწალას დრესკოდი დავუდგინოთ, რომ უკეთ ჩაიცვას, რათა ტურისტს თვალში ცუდად არ მოხვდეს. აბსურდამდე მიდის ეს ყველაფერი. სამწუხაროა, რომ ჩვენს ქვეყანაში ამდენი მათხოვარია. სამწუხაროა, რომ მიწისქვეშა გადასასვლელში დგას ვიღაც და მღერის. მე, როგორც პროფესიონალს, თუკი რამე მომეკითხება, შემიძლია, ვთქვა, რომ ეს მუსიკოსები ცუდად სულაც არ მღერიან. სხვათა შორის, ძალიან ბევრი კარგი მუსიკოსი დგას ქუჩაში. იქნებ, დავიაროთ ქუჩები, მოვუსმინოთ მათ, ვინც ცოტა ნორმალურად მღერის და ბარებში შევიყვანოთ, ან ისეთი ადგილები მივუჩინოთ, სადაც ისინი უფრო ღირსეულად იგრძნობენ თავს. იქნებ, ეს იგულისხმა სერგიმ. მე მანქანა არ მყავს, ფეხით დავდივარ და მიწისქვეშა გადასასვლელებში გულგრილად ვერ ჩავდივარ. მაგალითად, ბახტრიონზე დგას არაჩვეულებრივი ახალგაზრდა ბიჭი და მღერის ტომ ვეიტსის რეპერტუარს, „Blue Valentine“ („ბლუ ვალენტაინს“). სხვა რამესაც რომ მღეროდეს, რომ დამინახავს, ავდივარ თუ ჩამოვდივარ, მაშინვე იწყებს „ბლუ ვალენტაინის“ სიმღერას. იმდენად მიჩუყდება გული, რომ ლარიანს ვჩუქნი, იმ კაცს არა აქვს სხვაგან დასადგომი და სამღერი,** — თქვა ირმა სოხაძემ.

მომღერლის თქმით, ქუჩის მუსიკოსებს კი არა, პროფესიონალებს ენატრებათ სცენა და ესტრადა. ამდენად, რა უნდა ვუყოთ ამდენ ადამიანს, ვისაც შემოსავლის წყარო არა აქვს? ეს ადამიანები ტყუილად უნდა დასხდნენ ქუჩაში და ქუდი დაიდონ მოწყალების სათხოვნელად? — ბარემ იმღერონ.

**„სიმღერა როგორ უნდა ავუკრძალოთ? ეს იგივეა, გაუმართავი მანქანები ერთი ხელის მოსმით ავკრძალოთ. ცხადია, ეს მანქანები საშინელებაა, გვწამლავენ და რაღაც რეგულაცია უნდა მოიგონონ, მაგრამ მძღოლებს მეტის შეძენის საშუალება არა აქვთ. ამიტომ იმაზე ვიფიქროთ, რატომ არიან ჩვენი მძღოლები ასე გაუბედურებულნი, რატომ არის ყოველი მეხუთე ბავშვი შიმშილის ზღვარს მიღმა მყოფი და რა გვჭირს? თორემ კარგი მუსიკოსი თუ ვიპოვეთ სადმე, მიწისქვეშა გადასასვლელში, ის ბარში უნდა შევიყვანოთ. ეს რომ მადლია, ამაზე არავინ შეეკამათება დედაქალაქის მესვეურებს, პირიქით, მადლობას ვეტყვით ყველა“.**

კომპოზიტორი და მომღერალი **ნატო გელაშვილი** აცხადებს, რომ კარგი იქნება, ლონდონის მაგალითით სხვა შემთხვევებში ვიხელმძღვანელოთ და მხოლოდ ამის მერე მივადგეთ ქუჩის მუსიკოსებს. პირდაპირ ქუჩის მუსიკოსებით თუ დავიწყებთ, რომ გავუტოლდეთ ლონდონს, მაშინ ლონდონში იმდენი კარგი რაღაც ხდება, რომ ჯერ ისინი გადმოვიღოთ და დავნერგოთ თბილისში.

**— ზედმეტად მიმაჩნია, რომ ქუჩის მუსიკოსებს, მათ შორის, საწყალ ხალხს რეპერტუარი და არეალი შევურჩიოთ, თუ სად უნდა დადგნენ და სად იმღერონ. ჩვენი ქვეყნისთვის ეს სასაცილოა, მილიონი პრობლემაა ამ ქვეყანაში. ლონდონში ხალხს ძალიან კარგი ხელფასები, პენსიები აქვს, მათი სოციალური მდგომარეობა გაუმჯობესებულია. ქართველებს გვემართება მარტო ასეთი რამ, რომ უცნაური რამით ვიწყებთ. არ ვიცი, სერგი გაითვალისწინებს თუ არა ჩემს რჩევას, მაგრამ მოდით რა, სანამ ქუჩის მუსიკოსებს მივადგებით და მათგან რეპერტუარის შეთანხმებას მოვითხოვთ, ჯერ გავასუფთავოთ ტელევიზია და რადიო საშინელი სიმღერებისგან. ძალიან ბევრი ისეთი სიმღერა ტრიალებს, რომელიც არც ტელეეთერისთვისაა შესაფერისი და არც რადიოეთერისთვის. თუ ახლა სოფლის დონეზეა ქუჩის მუსიკა დასული, ეს იმიტომ, რომ იმავეს ისმენენ ტელევიზიებიდანაც. ჯერ ტელევიზიებში დააწესონ სტანდარტი, ღირებული დარჩეს ღირებულად, მუსიკოსს დაერქვას მუსიკოსი, ფანოღს დაერქვას ფანოღი, ქუჩის მუსიკოსს — ქუჩის მუსიკოსი და ყველაფერი თავისით დალაგდება,** — აღნიშნა ნატო გელაშვილმა.

სერგი გვარჯალაძის ნათქვამს გამოეხმაურა მუსიკოსი და მწერალი **ტორესა მოსი**. მან გვარჯალაძის ინიციატივა გააკრიტიკა და აღნიშნა, რომ ქუჩის მუსიკოსთა რეგულაცია კარგს არაფერს მოიტანს. უფრო მეტიც, სადაც ოდესმე, რაიმე ფორმით ხელოვნებაში სახელმწიფო და ბიუროკრატია თუ ჩარეულა, ყველაფერი „ჩაბანძებულა“.

**„თავი დაანებეთ, შეეშვით, არ სჭირდება რეგულირება. ყოველთვის, როცა ქუჩაში დასაკრავად გავსულვარ, მიპოვნია ადგილი. ორი მუსიკოსი უფრო მარტივად აგვარებს ერთმანეთთან ურთიერთობას, მეც დამითმია ადგილი, სხვასაც დაუთმია ჩემთვის. ისეც მომხდარა, ფული როცა მჭირდებოდა და იმიტომ ვუკრავდი, მოსულა ტიპი, რომელსაც უბრალოდ „გასწორება“ უნდოდა, დამდგარა ჩემთან, ერთად გვიმღერია და ფული მთლიანად დაუტოვებია ჩემთვის. მთავრობას თავისი ტაშისმკვრელი არტისტებისთვის კულტურის სამინისტრო აქვს, რომლის ერთადერთი ფუნქციაა, ჩვენი ჯიბიდან მოპარული ფულით ეს ტაშისმკვრელები თბილად და აღუშფოთებლად ჰყავდეთ. ქუჩაში კი უამრავი ძალიან მაგარი მუსიკოსი მინახავს, რომელთანაც კულტურის ღვაწლმოსილი მუშაკები ვერასდროს ახლოს ვერ მივლენ. დაანებეთ ქუჩის მუსიკოსებს თავი და აჭამეთ, ვისაც აჭმევდით“,** — აცხადებს ტორესა მოსი.

ამასთან, ამბობს, რომ საშუალო დონის ევროპულ ქვეყნებთან შედარებით საქართველო 15-ჯერ უფრო ღარიბია. ამიტომ ლონდონის მაგალითით აპელირება არ შეიძლება. ტორესა მოსის დაკვირვებით, ლონდონში პრობლემას უცხოელები ქმნიან, რომლებიც მოგზაურობენ და საჭირო თანხას აგროვებენ უცხო ქალაქის ქუჩებში ნამღერი სიმღერით. ამით ადგილობრივ მუსიკოსებთან კონფლიქტური სიტუაციები წარმოიქმნება. ამიტომ ლონდონის ქუჩებში საბუთის გარეშე სიმღერა არ შეიძლება. ბუნებრივია, ლონდონში 3 დღით ჩასული უცხოელი ქუჩაში დგომის უფლებას ვერ მოიპოვებს და შესაბამისი საბუთის მქონე ლონდონელი მას ტერიტორიის დათმობას უმალვე მოსთხოვს. ამ დროს კი ქართველები ვედრებით ლონდონს და ვმეტიჩრობთ.

მოამზადა
**მანანა ნოზაძემ**

# სკოლამდელი განათლების სისტემაზე პასუხისმგებლობა ხელისუფლებას უნდა დაეკისროს!

**უსაფრთხოების ნორმის დაუცველობა, პედაგოგის და ძიძების ბავშვებთან ურთიერთობა, სკოლამდელი განათლების დაბალი დონე — ეს იმ პრობლემების მცირე ჩამონათვალია, რაზეც მუდმივად მიდის მსჯელობა, მაგრამ გამოსავალი მაინც არ ჩანს. პასუხისმგებლობას, როგორც ჩანს, ხელისუფლება ბოლომდე არ იღებს.**

ამას ამტკიცებს „გაეროს ბავშვთა ფონდის“ (UNICEF) მიერ „ხარისხიანი სკოლამდელი განათლების“ შესახებ ჩატარებული კვლევა, რომლის მიხედვითაც, ქვეყანაში მთავარი პრობლემა ბაღების ხელმისაწვდომობა და ხარისხიანი სერვისების მიწოდებაა.

**კვლევის თანახმად, სოციალურად დაუცველი, ეთნიკური და სოფლად მცხოვრები ბავშვების 30%-დან 50%-მდე სკოლამდელი განათლების მიღმა რჩება. 57 მუნიციპალიტეტიდან მოპოვებული ინფორმაციის მიხედვით კი აღმზრდელთა 44% არაკვლიფიციურია. ამასთან მუნიციპალიტეტების 52.2%-ში სკოლამდელ დაწესებულებებს პედაგოგიური ხედვა ან მიდგომა საერთოდ არა აქვთ.**

ამ პრობლემებთან დაკავშირებით სახელმწიფოს პასუხისმგებლობის საკითხს აყენებს „გაეროს ბავშვთა ფონდის“ სკოლამდელი განათლების კონსულტანტი ანა ჯანელიძეც.



**„მთავრობა და ადგილობრივი თვითმმართველობები ბავშვის განვითარებისთვის ხელშემწყობი გარემოს შექმნაზე პასუხისმგებლები არიან. მუნიციპალიტეტი ვალდებულია, სკოლამდელ ბავშვს ხარისხიანი განათლება მისცეს, ამ პროცესს კი მთავრობამ კოორდინაცია უნდა გაუწიოს,“** — აცხადებს ჯანელიძე.

მისი თქმით, მოქმედ აღმზრდელებს განათლება ხშირად სრულიად სხვა მიმართულებით აქვთ მიღებული და არა კონკრეტულად, ადრეული სკოლამდელი განათლების კუთხით, რაც მათ კვალიფიციურობაში ძირითად პრობლემას ქმნის.

**„მიჩნეული იყო, რომ საბავშვო ბაღში მუშაობა მარტივი საქმეა და იქ დასაქმებულ პედაგოგებს განსაკუთრებული განათლების მიღება არ სჭირდებოდათ. სწორედ ამიტომ დაწესებულებებს კვალიფიციური კადრების მოძიება უჭირთ. ამას ხელს უწყობდა ისიც, რომ, უმაღლეს სასწავლებლებში, პრაქტიკულად, მოსამზადებელი პროგრამები არ არსებობს. ანუ ხელშემწყობი სისტემა არ გვაქვს, რომ სათანადო კადრები მოვამზადოთ და შემდეგ დავასაქმოთ,“** — აღნიშნა ანა ჯანელიძემ.

რაც შეეხება იმას, რომ ბაგა-ბაღებში 44% არაკვლიფიციური კადრია დასაქმებული, „გაეროს ბავშვთა ფონდის“ სკოლამდელი განათლების კონსულტანტის აზრით, ამას რამდენიმე მიზეზი შეიძლება ჰქონდეს, მათ შორის არ გამორიცხავს ნეპოტიზმის შემთხვევებსაც, თუმცა აცხადებს, რომ კონკრეტული ინფორმაცია არა აქვს. მთლიანობაში სკოლამდელ დაწესებულებებში შექმნილი მდგომარეობის გამოსწორების მთავარ გამოსავალს ანა ჯანელიძე განათლებაში ხედავს. მისი თქმით, აუცილებელია სკოლამდელი განათლება საბაკალავრო დონეზე ისწავლებოდეს.

**„პრობლემა მხოლოდ იმაში არ არის, რომ ქვეყანაში სკოლამდელების აღსაზრდელად არაკვალიფიციური კადრი აჰყავთ. პრობლემა იმაშია, რომ მათ კვალიფიციური კადრები არ ჰყავთ კონკურენტებად ,“** — აღნიშნა ჯანელიძემ.

**ლიკა გურაბანიძე**

# დასაცავი გაგვხდომია „ესე ენაი შემკული და კურთხეული!.."

**ფიქრებით სავსე დავყურებ ახლა თავისუფალ გვერდს, მინდა, ჩემი მოსაზრებები ჩამოვაყალიბო, მაგრამ არ ვიცი, როგორ და რით დავიწყო, უამრავი მაგალითით თუ პირადად ჩემი დამოკიდებულებით იმ საკითხისადმი, რომელიც სამკვდრო-სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია ქართველი ერისთვის და, რომელზეც არა მარტო მე, ბევრი ფიქრობს ... ფიქრი, მართლაც, რომ აუცილებელია, მაგრამ, სამწუხაროდ, ამ მოფიქრალთა გუნდს არ ძალუძს საქმის გამოსწორება უამრავი მიზეზის გამო. უპირველეს ყოვლისა, იმის გამო, რომ საქმე ეხება ღრმად წასული დაავადების მსგავს მოვლენას, მაგრამ ეს დაავადება მხოლოდ ექიმების სფერო როდია, თუ ქართველები ვართ, თუ გვიყვარს ჩვენი სამშობლო, თუ გვინდა, რომ ის ჯანმრთელად და კარგად იყოს, ექიმმაც და ვექილმაც, ინჟინერმაც და მასწავლებელმაც, პოლიტიკოსმაც თუ მთავრობის წარმომადგენლებმაც — ყველა ხელობის მცოდნემ თუ არმცოდნემ, ერთიანად ჩავერთოთ და გამოსასწორებელი მანამ გამოვასწოროთ, მოსარჩენი მანამ მოვარჩინოთ, სანამ დროა და მდგომარეობა კიდევ უფრო არ გაუარესებულა, გაუარესება კი დაღუპვას ნიშნავს, რადგანაც დაავადება საკმაოდ ღრმად არის მოდებული..**

ჩვენს პრესასა და, ზოგადად, მედიაში ნებისმიერ საკითხზე ნახავთ რაღაცების და ვიღაცების შესახებ გულშემატკივართა მწვავე სტატიებს, სანახაობრივ გადაცემებს. მთავრობაც, ვითომცდა საყოფაცხოვრებო მნიშვნელობის მოვლენებით დაინტერესებული, ვითომცდა ხალხზე ზრუნვით შეწუხებული, ისეთ კანონებს უშვებს, რომელთა უმეტესობას აღსრულება არ უწერია... მაგალითები ბევრი შეგვიძლია მოვიყვანოთ: ტროტუარზე მანქანების დაყენების აკრძალვა, ძაღლის პატრონებისაგან სისუფთავის დაცვა ქუჩებსა და პარკებში, უდროო დროს ხმაურის აღკვეთა ქუჩებში, სადარბაზოებში და სხვა მრავალი, რომელთა შესახებ კანონები კი გამოსცეს, მაგრამ ვინ არის ამ ყველაფერზე პასუხისმგებელი, ვინ არის აღმსრულებელი. ვინ აჯარიმებს წესრიგის დამრღვევებსა და გარემოს დამბინძურებლებს? ან თუ აჯარიმებს, აქვს კი ამას სისტემური ხასიათი? მოსახლეობას გაუჩნდა კი კრძალვა, მორიდება, თუნდაც შიში, ასეთი კანონების მიმართ? სამწუხაროდ, როდესაც კანონი არ კანონობს, არც კრძალვაა და არც შიში. ათეული წლების მანძილზე მიჩვეულის გადაჩვევა ძნელი ყოფილა. და ასე, მეტისმეტად დაბალი კულტურით, დღემდე გრძელდება ჩვენი სამოქალაქო ცხოვრება.

ყველაფერს ვეგუებით, მგონი, იმასაც კი, რისი შეგუებაც გადაგვარებას გვიქადის, რასაც ხელს უწყობს საკუთარი ენისადმი უპატივცემლობა, ქართული ენის სხვა ენით ჩანაცვლების მცდელობა. ჩვენ კარგად ვიცით (უნდა ვიცოდეთ!), თუ რა არის ქრთული ენა ქართველთათვის. იგი საფუძველია, ფუნდამენტია ჩვენი ეროვნულობისა, ერთობისა და ძლიერებისა, ქართულ ენას ილია მართალმა „ღვთაებრივი საუნჯე" უწოდა და დღეს რომ ამ ღვთაებრივ ენას, ჩვენს შემადუღაბებელს საფუძველი ერყევა, რატომ არ ისმის გადაძახილ-გადმოძახილი, რატომ არ ვუხმობთ მაშველთა რაზმს? აგერ-ეგერ თუ გავიგონებთ უკმაყოფილებას, ძირითადად მსმენელების მხრიდან, თორემ საფუძვლიანი საუბარი და მსჯელობა, ისეთი, სადაც განგაშის ზარი უნდა გუგუნებდეს, — იშვიათად! არადა, ნამდვილად არის საგანგაშო მდგომარეობა. ორგანიზაციებისა და დაწესებულებების ინგლისურენოვან წარწერებზე აკეთებენ ხშირად აქცენტს. ბარბარიზმებზედაც არის ორწუთიანი საუბარი რადიოში. არა, ჩემო ძვირფასებო, საქმე უფრო რთულად არის, ვიდრე ჩვენ ვფიქრობთ და გვგონია. ამ სამი-ოთხი ათეული წლის წინათ ქართულ ენაში რუსულის დანერგვის შიშით ვიყავით შეშფოთებულები. 1978 წელიც კარგად გვახსოვს, როგორ გავილაშქრეთ სახელმწიფო ენად რუსული ენის დამკვიდრება-დაკანონების წინააღმდეგ. ამ მოვლენამ, ქართველი ახალგაზრდობის მშობლიური ენისადმი ერთგულებამ, თითქოს შთაბეჭდილება მოახდინა საზოგადოებაზე, მაგრამ, მართალი გითხრათ, მაინცდამაინც არ ვიყავი კმაყოფილი. იცით რატომ? შენი მშობლიური ენისადმი პატივისცემა, მისი სახელმწიფოებრიობა ზემოდან კი არ უნდა იყოს ბოძებული, მხოლოდ კონსტიტუციით კი არ უნდა გევალებოდეს, სულში და გულში უნდა გქონდეს ჩამტკიცებულ-ჩანერგილი. და ეს რომ ასე არ იყო, ამას თვალნათლივ ვხედავდი. საზოგადოებაში კვლავ რუსული მეფობდა. იგი მართლა იკავებდა მშობლიური ენის ადგილს. განა მარტო იმით, რომ მშობლიური ქვეყნის საზღვარს იქით რუსულის ცოდნის გარეშე ვერ გაიხედავდი, არა, შენს ქვეყანაშიც არ იყავი სულმოთქმული მის (რუსულის) გარეშე. სამეცნიერო-სასწავლო ლიტერატურას და მსოფლიოს მხატვრულ ლიტერატურასაც კი მხოლოდ რუსული თარგმანებით ვეცნობოდით. საქართველო მრავალეროვანი ქვეყანა ვართო, იმთავითვე ვტრაბახობდით და აქვე, ჩვენს ქვეყანაში საუკუნეების მანძილზე მცხოვრებ მცირე ერებთანაც კი რუსულად ვსაუბრობდით, რუსულად საუბრობდნენ თავად ქართულ ოჯახებშიც. აი, ასეთი მდგომარეობა იყო და მას შემდეგ, რაც დამოუკიდებლობა მოვიპოვეთ, რაც ვითომდა ეროვნული მთავრობა ჩაგვიდგა სათავეში, მეცნიერებს მაშინ გაახსენდათ მშობლიური ენის საფუძვლიანად დაუფლების მნიშვნელობა... **მაშინ გაახსენდათ, რომ „დედა ენა არის უფლის კურთხევით ჩვენ წინაპართაგან აღშენებული უწმინდესი ტაძარი, რომელსაც სვეტებად უდგანან სამშობლო ქვეყნის მოღვაწენი; დანგრევა მისი ადვილია, ხოლო აღდგენა ფრიად ძნელი" ( კათალიკოსი კირიონ მეორე), მაშინ გაახსენდათ , რომ ქართულ ენასთან ერთად დასაცავი იყო ქართული ზნე-ჩვეულებანი.**




მაგრამ გავიდა ცოტა დრო და, საუბედუროდ, ყველაფერი ისევ საწყის წერტილს დაუბრუნდა, ოღონდ ამ ჯერზე არა რუსულით, არამედ ინგლისური ენით. ახლა კიდევ უფრო დაივიწყეს **„ესე ენაი შემკული და კურთხეული სახელითა უფლისათა" და სამწუხაროდ იგი გახდა „მდაბალი და დაწუნებული"**.

ასე რომ, ინგლისური ენის „ხიბლმა" რუსული კი არადა, ქართულთან ერთად სხვა მნიშვნელოვანი ენებიც გვერდზე მოიგდო, დაიხურა დასავლურ ენათა შემსწავლელი, გამოცდილებითა და პრაქტიკით აღჭურვილი უცხო ენათა სახელმწიფო უნივერსიტეტი. მას მიაყოლეს სულხან-საბა ორბელიანის სახელობის პედაგოგიური უნივერსიტეტი... და ბევრი სხვა უაღრესად საჭირო სასწავლო ცენტრები, ლაბორატორიები, კაბინეტები, ქართული ენის მაცოცხლებელი, გამაჯანსაღებელი მიმართულებები. სამაგიეროდ, „სასწრაფოდ" გაიხსნა სხვადასხვაენოვანი სკოლები: ფრანგული, გერმანული, ინგლისური, მაგრამ ინგლისურმა ყველას გადააჭარბა. დღეისათვის მშობლები ბავშვებს ინგლისურს, მგონი, ენის ადგმისთანავე ასწავლიან. შესაბამისად, ჩვენი ბავშვები არა თუ კარგად საუბრობენ ინგლისურად, არამედ ამ ენაზე მღერიან კიდეც. სიმღერა — ეს სულ სხვა ფენომენია. საკუთარი კუთხიდან, საკუთარი მიწიდან, საკუთარი ისტორიიდან წამოსულ ჰანგებს სულ სხვა ძალა აქვს, სიმღერა ზებუნებრივი შემოქმედია, რომელიც ზრდის და ასრულებს ადამიანში მის ეროვნულობას, მის ნაციონალურ პროფილს. ეს იმას არ ნიშნავს, რომ მოზარდმა არ განივითაროს მუსიკალური ნიჭი, არ იმღეროს სხვა ენაზე, არ შეითვისოს სხვათა მუსიკა. არა, რა თქმა უნდა! მაგრამ უცხოური სიმღერის შესრულებას თავისი დრო და ასაკი აქვს. ჩვენი ბავშვები კი თითქმის უცხო ენებზე და უცხო სიმღერებზე იზრდებიან, ღრმად ითვისებენ უცხოურ სიტყვას, საუბარს, სიმღერა-გალობას და ყოველივე ამასთან ერთად ითვისებენ უცხოურ უნარ-ჩვევებსაც კი ( ჩვენი ადათ- ჩვევები ვის ახსოვს! შეშფოთების დროს გამოსაყენებელ ქართულ შორისდებულ „ვაი"-საც კი, ჩვენთვის უჩვეულო აქცენტითა და ბგერათა შემადგენლობით წამოიძახებენ!). ასეთი მეთოდით — უცხო ენებისა და უცხო ქვეყნების ისტორიისა და კულტურის უპირატესობით დაზრდილ ახალგაზრდებს სამშობლო ეპატარავებათ. და შემდგომ რა ხდება? მშობლების ხელშეწყობით, სადაც სახელმწიფოსაც აქვს გარკვეული როლი, ისინი ევროპა-ამერიკისაკენ მიემგზავრებიან, სწავლასა და სამსახურსაც იქ აგრძელებენ.

„რად მინდა ქართული, მე რომ გავიზრდები, სკოლის დამთავრებისთანავე წავალ ინგლისში, იქ ვიმუშავებ, იქ ვიცხოვრებ" — ეუბნება ინგლისურენოვანი სკოლის მეექვსე კლასის მოსწავლე თავის ბებიას, რომელმაც ქართული საკითხავი წიგნი შეურჩია ბავშვს. შეშფოთებული ბებია, ჩემი მეგობარი ქალი, მიყვება ამ ამბავს. როგორი მოსასმენია! გულზე შემომენთო, რა ვურჩიო, სკოლამ და გარემომ თავისი გაიტანა, ალბათ, თორემ... არ ვიცი, სადღაც დიდი შეცდომაა დაშვებული უთუოდ. და ასეთი შეცდომა ერთსა და ორ ოჯახს ( თუნდაც ასსაც!) რომ ჰქონდეს, ვინ ჩივის. მშობლიური ენის უგულებელყოფა მასობრივად მოედო საქართველოს, ვინ ფიქრობს საქართველოზე და მისი ეროვნული სახის შენარჩუნებაზე. პირიქით. ჩამოსული სტუმარი ვერც მიხვდება, სად ჩამოვიდა, ირგვლივ ინგლისურენოვანი წარწერები ცნობილ თუ უცნობ ბიზნესმენ-კაპიტალისტთა, ეგრეთ წოდებულ, „ბრენდებს", „მარკეტებს" და სხვა ორგანიზაცია-დაწესებულებებს გვაცნობენ.. ორგანიზაციებსა და დაწესებულებებში ინგლისურის მცოდნე ახალგაზრდებზეა მოთხოვნა. ასეთი ცხოვრება მოგვიტანა დრომ,. დრო კი მოვიტანეთ ჩვენ, ადამიანებმა!.

ასეთ პირობებში, საინტერესოა, რომელი ჩვენგანი დადებს თავს და საკუთარ შვილს თუ შვილიშვილს ინგლისურ ენას, ან რომელიმე უცხო ენას არ ასწავლის. ვასწავლით, რასაკვირველია, მაგრამ ქართული ენისა და ლიტერატურის მკვიდრად და საფუძვლიანად შესწავლით უნდა ხდებოდეს ყოველივე ეს, საქართველოს ისტორიისა და გეოგრაფიის გაკვეთილებით, მშობლიურ კუთხეებში მოგზაურობით, ჩვენი ძველი ისტორიული ძეგლების გაცნობით. ქართული ენა უნდა იყოს საშუალება და საფუძველი უცხო ენის შესწავლისა. და ვინ უნდა აწესრიგებდეს ყოველივე ამას? — სახელმწიფო, განათლების სამინისტრო! დიახ! ყველამ ვიცით ეს, რომ ასე უნდა იყოს, მაგრამ რა ხდება? ორ ათეულ წელზე მეტია, ვითომცდა ჩვენი თავი ჩვენად გვეყუდნის, ამდენივე წელია, რაც განათლების რეფორმას ახორციელებენ... მაგრამ ამ გამუდმებულმა კი არადა, წყვეტილმა და ყოველი ახალი მინისტრის სურვილით, „ცოდნით" და მენტალიტეტის მიხედვით დროდადრო განახლებულმა „რეფორმებმა" სამშობლო, მისი ისტორიით, ლიტერატურით, ხელოვნებითა და კულტურით კი არ შეაყვარეს მოზარდებს, პირიქით, გაუუცხოეს! გადავხედოთ ჩვენს სასკოლო სახელმძღვანელოებს, რას ასწავლიან ჩვენს შვილებს, არის კი იქ სამშობლო წარმოჩენილი ისე, როგორც ესაჭიროება ჩვენი ბავშვების ქართველ მოქალაქეებად და მამულიშვილებად აღზრდას? სახელმძღვანელოების შემდგენლებმა იციან კი, სად უნდა გაკეთდეს აქცენტი? ხდება კი პედაგოგების, მშობლებისა და აღსაზრდელების ინტერესების კვლევა, პროგრამების შერჩევა. ამ ჩამონათვალის საფუძველი ცოდნა, ინტერესი და ის ამაღლებული სიყვარულია, პატრიოტიზმს რომ ვეძახით და, როცა ყოველივე ეს არ არის, კვლევა საიდან იქნება! ამასობაში დრო მიდის. ჩვენი, ერთ დროს სურნელოვანი ჩაისა (ჩაის ვარდი) და პირისფერი ვარდების ბაღებში ყოველგვარ სურნელებასა და არომატს მოკლებული სელექციური ყვავილები მრავლდებიან... განა ცუდია, რას გვიშავებენო, — ამბობენ. და ვიცით კი რა არის ცუდი, ან რა — კარგი? ამხსნელიც არავინ ჩანს და მიედინება ცხოვრება მდორედ... ჩვენი შვილები და შვილიშვილები იზრდებიან ქვეყანაში და არა სამშობლოში. თბილისის მიხედვით თუ ვიმსჯელებთ, იგი თავის არქიტექტურასთან ერთად ყოველდღე იცვლება, სხვაფერდება, ქუჩები ივსება არა მარტო უცნაური შენობებით, უცხო ქვეყნების, უცხო მარკის ავტომობილებით, არამედ სხვადასხვა ენებზე „მოჟღურტულე" ადამიანებით, ვინ გაარკვევს, ვინ ვინ არის. ვინ — მტერი და ვინ — მოყვარე., თუმცა ამას რა მნიშვნელობა აქვს, მნიშვნელობა იმას კი ნამდვილად აქვს, რომ კარგად ვიცოდეთ უცხო ენაზე „მოჟღურტულე" თითოეული მათგანი ქართულ საქმეს აკეთებს, საქართველოს მოქალაქეობას ცდილობს, ქართულ კულტურას ემსახურება თუ თავისი ენით, თავისი კულტურით, ზნითა და უნარით გაფაციცებით იშენებს ჩვენთვის უცხო და შეუფერებელ საკუთარ გარემოს ქართველთა წინაპრების სისხლითა და ოფლით გაპოხილ მიწაზე.

**ამ წერილის წაკითხვის შემდეგ, გამოვა მავანი და მავანი და ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითს მოგვიყვანს, სხვადასხვა ერის წარმომადგენლებს, ძველ თუ ახალ ემიგრანტებს, თავისი მშობლიური ქალაქების სახელწოდების პროვინციებიც რომ აქვთ შექმნილ-აშენებული სხვის მიწაზე. ის კი ავიწყდებათ, ამერიკა ვეებერთელა ქვეყანაა და მისი ზოგიერთი ქალაქი (ქალაქების უმეტესობა), სიდიდით და მცხოვრებთა რაოდენობით რამდენჯერმე აღემატება ჩვენს პატარა საქართველოს,** — ეს ყველამ კარგად ვიცით, ალბათ, მაგრამ ბევრ ჩვენგანს მაინც ვერ გაგვიგია მილიონნახევრიან დედაქალაქში რატომ ვაშენებთ უთვალავსართულიან საცხოვრებლებს, მთელი საქართველოს მოსახლეობა თავისუფლად რომ მოთავსდება, იმდენს. ისეთი წარმოდგენა იქმნება, თითქოს ქართველებს მხოლოდ თბილისით, გაინგლისურებული დედაქალაქით შემოფარგვლა სურთ, განათლების, კულტურის, სამართლის, ვაჭრობისა და სხვა მნიშვნელოვანი ცენტრები მხოლოდ აქ შენდება. სულ დავაპატარავეთ და ერთ ქალაქში მოვაქციეთ ჩვენი სამშობლო. ქართველი ფულიანი კაცი თბილისის იქით არ იხედება, ასეთი დამოკიდებულება არახალია, დიდი ხანია, ეს ასე ხდება. ახალი ის არის, რომ ბოლო ოცი წელი აშენებისა და დამშვენების ნაცვლად, სულ მიატოვეს ქართველებმა საკუთარი სახლ-კარი, საკუთარი მიწა-წყალი. უცხო ქვეყნებში გაიქცნენ, შიმშილსა და სიღარიბეს გაერიდნენ, არადა ადრე, თითოეულ მტკაველი მიწისთვის სისხლს ღვრიდნენ ჩვენი წინაპრები. დღეს კი ვიღაცას (ალბათ, ეშმაკს!) ჩავატოვეთ იგი ხელში...

ვის მოვთხოვოთ ჩვენი ენის ცოდნა, მისი დაცვა და განვითარება, თუ არა ქართველს, ვის მოვთხოვოთ ქართული მიწის მოვლა-პატრონობა, დამუშავება, აყვავება და აღორძინება, თუ არა ქართველს! და მერე სადა ხართ ჩემო თანამემამულენო, რას და ვის ელოდებით!

**დრო მიდის, მოუთმენელი და დაუნდობელი დრო! გაილია წლები... ჩვენ კი ჩვენი დიდი წინაპრების ნატვრა და ოცნება კვლავაც ნატვრად და ოცნებად გვრჩება... ასე არ არის?**



**გულნარა სტურუა**



# აფხაზეთი ამჯერად ბულგარეთს ეკეკლუცება

**ოკუპირებული აფხაზეთის დე ფაქტო სავაჭრო-სამრეწველო პალატის დელეგაცია ბულგარეთიდან დაბრუნდა. 18-21 ივნისს ამ ქვეყანაში „სამუშაო ვიზიტად" მყოფ დელეგაციას აფხაზური უწყების ხელმძღვანელი თამილა მერცხულავა ხელმძღვანელობდა.**

როგორც მერცხულავამ ადგილობრივ ჟურნალისტებს უამბო, ვიზიტი ბულგარეთის ქალაქ ვარნის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიწვევით განხორციელდა.

**„ჩვენს შორის უკვე დიდი ხანია, ჩამოყალიბდა ძალიან კარგი, მეგობრული ურთიერთობები. ჩვენ არაერთხელ შევხვედრილვართ ჩვენს ვარნელ კოლეგებს „შავი ზღვის საერთაშორისო კლუბის" საქმიანი საბჭოს სხდომების ფარგლებში. მოგეხსენებათ, ქალაქი სოხუმი ამ კლუბის წევრია, აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატა კი — საქმიანი საბჭოს წევრი და ჩვენ ამ სხდომებში სოხუმის ადმინისტრაციის დავალებითა და სახელით, მინდობილობის საფუძველზე არაერთგზის მიგვიღია მონაწილეობა. საკუთრივ ამ შეხვედრას ესწრებოდა ასევე კლუბის გენერალური დირექტორი მიხეილ კულიკოვი, რომელიც, როგორც კი შეიტყო ბულგარეთში აფხაზური დელეგაციის ჩასვლის შესახებ, სპეციალურად ჩამოვიდა სოფიიდან. გვქონდა ძალზე პროდუქტიული შეხვედრა. შემოგვთავაზეს, ჩაგვეტარებინა ჩვენი რესპუბლიკის პრეზენტაცია. წარმოვადგინეთ აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატის მიერ მომზადებული ნახევარსაათიანი ფილმი. ჩვენების შემდეგ ბულგარელმა ბიზნესმენებმა ბევრი კითხვა დაგვისვეს, აინტერესებდათ ლოგისტიკა, დაზღვევა, ტვირთბრუნვა — არსებობდა თუ არა იგი ბულგარეთსა და აფხაზეთს შორის. გაკვირვებულები დარჩნენ, როცა შეიტყვეს, რომ სადღეისოდ ტვირთბრუნვა არსებობს და აფხაზეთის საბაჟო კომიტეტის 2017 წლის მონაცემებით, მან 130 მილიონ რუბლს გადააჭარბა, მიმდინარე წლის პირველი კვარტლის განმავლობაში კი თითქმის 14 მილნ რუბლი შეადგინა. ეს იმაზე მეტყველებს,რომ აფხაზ და ბულგარელ მეწარმეებს შორის თანამშრომლობა ვითარდება და არსებობს სურვილი, იგი ყოველწლიურად სულ უფრო მეტად განვითარდეს",** — უამბო მედიის წარმომადგენლებს თამილა მერცხულავამ.

ირკვევა, რომ ოკუპირებული აფხაზეთი ბულგარეთიდან თამბაქოსა და თამბაქოს ნაწარმის, ჰიდროენერგეტიკული აღჭურვილობის, მოდიფიცირებული სახამებლის, ტექსტილის, ქაღალდისა და მუყაოს ნაწარმის იმპორტს ახორციელებს.

რაც შეეხება ექსპორტს, მერცხულავამ მწუხარებით აღნიშნა, რომ იგი ჯერჯერობით ნულოვანია, თუმცა დასძინა, რომ ბულგარეთში გამართული შეხვედრების მონაწილეები ფეიხოამ აღაფრთოვანა, რომელიც მათ ქვეყანაში არ იზრდება.

მისივე მტკიცებით, მხარეებმა წარმომადგენლობითი ურთიერთობებიდან საპარტნიოროზე უსწრაფესი გადასვლის სურვილი გამოთქვეს, მიღწეულ იქნა შეთანხმება აფხაზეთში ბულგარელი ბიზნესმენების ორი ვიზიტის შესახებ, რომლებიც ოკუპირებულ რეგიონში ერთობლივი ბიზნესების ჩამოყალიბება-განვითარებას ისახავს მიზნად.

ვიზიტის ფარგლებში აფხაზურმა დელეგაციამ მოინახულა ღვინის ქარხანა „ვილა ტერესი" — ღვინისა და საკურორტო სპა-ტურიზმის კომპლექსი დაბა კარაბუნარში. საწარმოს ხელმძღვანელმა სვეტლოზარ ველტჩევმა შესთავაზა სტუმრებს, აფხაზმა მეღვინეებმა აღჭურვილობა, ენზიმები და ტონინები ბულგარეთში შეისყიდონ. რაც შეეხება საქართველოს ხელისუფლების ტრადიციულ წინააღმდეგობას, როგორც მერცხულავამ განმარტა, მოსალოდნელი ინციდენტების თავიდან ასაცილებლად გადაწყდა, რაიმე ორმხრივი დოკუმენტები ჯერ არ გაფორმებულიყო: **„ყველას გვახსოვს, რომ ბოლო წლებში ჩვენი უწყების წარმომადგენლების გერმანიაში ვიზიტების შემდეგ ხელი მოეწერა აფხაზეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და ორი გერმანული ქალაქის ანალოგიურ უწყებებს შორის შეთანხმებებს, თუმცა გერმანიაში საქართველოს საელჩოს ზეწოლის შედეგად მოხდა ამ დოკუმენტების ანულირება. ამიტომაც ამჯერად მოცდა გადავწყვიტეთ. უმჯობესია, ჯერ ურთიერთობები განვავითაროთ და თუნდაც ერთი პროექტი განვახორციელოთ. თუ, ღმერთმა ქნას, ეს გეგმა აღსრულდება, ეს ჩვენი პატარა გამარჯვება იქნება. ამდენად, გადავწყვიტეთ, არ მოგვეხდინა ბულგარეთის სავაჭრო-სამრეწველო პალატასა და მის რეგიონულ ფილიალებთან ხელშეკრულებების ხელმოწერის პედალირება"** — დასძინა მან.

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი"**

# ახალი აფხაზური „პასპორტი", ანუ როგორ დავკარგოთ „მოქალაქეობა"?

**ახალი აფხაზური ე.წ. პასპორტების გაცემის პროცესი ოკუპირებული რეგიონის მოსახლეობის დიდი ნაწილისთვის ძალზე არასასიამოვნო სიურპრიზად იქცა: სრულიად მოულოდნელად, მათ შეიტყვეს, რომ ამიერიდან „აფხაზეთის მოქალაქეები" აღარ არიან, თანაც უკვე დიდი ხანია. მათი „პასპორტები" ძალადაკარგულად ცხადდება, ხოლო ე.წ. მოქალაქეობა — ჩამორთმეულად.**

ზოგიერთმა დაზარალებულმა სასწაულებრივად მოახერხა, ამის შესახებ საბუთიც კი მიეღო.

ზემოაღნიშნულის მიზეზი ე.წ. საპასპორტო სამსახურების მიერ „მოქალაქეობის შესახებ" ე.წ. კანონის ცალკეული მუხლების არაკორექტულად გამოყენება გახდა. კერძოდ, მოქმედი ე.წ. კანონი შეიცავს ნორმას „მოქალაქეებად" იმ პირთა აღიარების შესახებ, რომლებიც აფხაზეთში 12.10.1994-დან 12.10.1999-მდე ცხოვრობდნენ, თავად ე.წ. კანონი კი 2005 წელს იქნა მიღებული.

თუმცა ეს ე.წ. კანონი, ისევე, როგორც ნებისმიერი სხვა, სპეციალური დათქმის გარეშე არ აუქმებს მის ძალაში შესვლამდე მომხდარი ფაქტების ანულირებას. შესაბამისად, ვინც „მოქალაქე" 2005 წლამდე გახდა, ამ კანონის მიღების გამო „მოქალაქედ" ყოფნას ვერ შეწყვეტს. ე.წ. კანონი კი ნამდვილად არ შეიცავს ნორმას ადრე მიღებული „მოქალაქეობის„ ჩამორთმევის თაობაზე.




ხსენებული ე.წ. კანონის საფუძველზე 2006 წლიდან დაიწყო პირველი „პასპორტიზაცია" „ეროვნული პასპორტებით". ახლა კი — 2018-ში, მათთვის სრულიად მოულოდნელად, ეროვნებით ყველა არააფხაზს (აფხაზი ეროვნების პირებს ე.წ. „მოქალაქეობა" ყოველგვარი დამატებითი პირობების გარეშე, დაბადებისთანავე ენიჭებათ) „აფხაზეთის მოქალაქეობის უკანონოდ მიღებაში" ერთგვარი "ბრალეულობის პრეზუმფცია" მიუსადაგეს და აიძულეს, თავად ამტკიცონ „უდანაშაულობა".

მათ შორის, დაიწყეს "მოქალაქეობის შესახებ" 2005 წლის ე.წ. კანონის მოთხოვნათა წაყენება 1994-1999 წლებში აფხაზეთში მუდმივი ცხოვრების შესახებ. არადა, იმ პერიოდში ეს ე.წ. კანონი საერთოდ არ არსებობდა. ანუ, კანონს უკუძალა მიანიჭეს და ამით პირთა მდგომარეობის გამაუარესებელი პირობები გამოიყენებს („კონსტიტუციის" დარღვევა).

როგორც გაირკვა, არსებობენ პირები, რომლებიც იმ დროს გასულები იყვნენ აფხაზეთიდან სასწავლებლად, სამკურნალოდ, სამუშაოდ, სხვა მიზეზებით და ახლა ამ ცენზს არ შეესაბამებიან. არსებობენ ისეთებიც, ვინც არასდროს გასულა, თუმცა არ უმუშავია, არ უსწავლია, არ უმკურნალია. ახლა ყველა ეს ადამიანი ამ „პასპორტიზაციის" დარტყმის ქვეშ აღმოჩნდა — აფხაზური „მოქალაქეობისა" და შესაბამისი საბუთის გარეშე დარჩა.

ამასთან, იმავე კანონის თანახმად, მოქალაქეობის ჩამორთმევა შეუძლია მხოლოდ დე ფაქტო პრეზიდენტს, არადა, მისი არც ერთი მსგავსი ბრძანებულება ჯერ არავის უნახავს.

ეს მხოლოდ წინაისტორია იყო. ახლა კი — მიმდინარე მდგომარეობის შესახებ.

უახლოეს პერიოდში იგეგმება „მოქალაქეობის შესახებ" ე.წ. კანონში ცვლილებების მიღება, რომლებიც, ავტორების შეფასებით, პრობლემას გადაჭრის: **დაგეგმილია „კანონის" შევსება სპეციალური პირობებით, რა დროსაც წარსულში ცხოვრების ცენზი გამოყენებული არ იქნება.**

საუბარი მიდის იმავე მიზეზებზე — სწავლება, მკურნალობა და ა.შ. ახლა საჭირო იქნება განათლების მიღების, მკურნალობის და ა.შ. ფაქტის დამადასტურებელი საბუთები — 20-წლიანი სიძველის (!!!). თავად მანკიერი პრაქტიკის გაუქმებას კი არავინ გეგმავს!

„ეს იგივეა, ჩუთყვავილით რომ დაავადდეთ, სხეულზე დაგეტყოთ სახასიათო ლაქები, რისი მიზეზიც ორგანიზმში შესაბამისი ვირუსის არსებობაა, მიხვიდეთ ექიმთან პროფესიონალური დახმარების მისაღებად და ამის ნაცვლად მან საღებავით სავსე ქილა გამოგიწოდოთ — „ლაქები დაიფარე და არ დაგეტყობაო". ამ გზით გამოჯანმრთელებულს დაემსგავსებით, მაგრამ ეს ხომ განკურნება არ იქნება! ანუ, უბრალოდ გთავაზობენ, გამოიყურებოდე, როგორც გამოჯანმრთელებული. დასკვნა: სიმპტომებთან ბრძოლით დაავადებას ვერ განკურნავ, ამისათვის მიზეზს უნდა ებრძოლო. ამისათვის კი საჭიროა

**(ა) ვაღიაროთ, რომ დაავადება არსებობს.**

**(ბ) მას პროფესიონალური შეფასება მიეცეს და**

**(გ) მკურნალობის მეცნიერულად დასაბუთებული საშუალებები იქნას გამოყენებული.** ყველაფერი დანარჩენი **ილუზიაა.**

**P. S. კანონისთვის უკუძალის მინიჭების მანკიერმა პრაქტიკამ შესაძლოა, იქამდე მიგვიყვანოს, რომ 2018 წელს გაცემულ პასპორტებს შორეულ 2028 წელს უკანონოდ გამოაცხადებენ. რის საფუძველზე? — მომავალში შევიტყობთ, მაგალითად, 2027-ში" — წერს ამასთან დაკავშირებით ერთ-ერთი ინტერნეტ-მომხმარებელი.**

**საინფორმაციო სააგენტო „აქცენტი"**

## ევროკავშირმა საზღვაო სტრატეგია განაახლა, ცვლილებები შავ ზღვასაც მოიცავს

**ევროკავშირმა საზღვაო უსაფრთხოების სტრატეგიაში ცვლილებები შეიტანა, რომლებიც ეხება შავ, ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვებს, რაც ასევევ გულისხმობს საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვას, კერძოდ ენერგეტიკული პლატფორმებისა და წყალქვეშა გემების დაცვას. შავ ზღვაში სტრატეგია მოიცავს „რეგიონალური თანამშრომლობის სფეროში ახალი ინიციატივების მხარდაჭერას", შავი ზღვის თანამშრომლობის ფორუმისა და 2016 წლის 25 ოქტომბრის ბუქარესტის დეკლარაციის მხარდაჭერას, საზღვაო ინფრასტრუქტურის დაცვას, კონტრანბანდასთან ბრძოლაში თანამშრომლობას, მიგრაციის პრობლემების გადაწყვეტას. ბალტიისა და ჩრდილოეთ ზღვებში ინფორმაციის გაცვლის გაფართოებას, თვალყურის ერთობლივ ოპერაციებს, გარემოს დაბინძურებასთან ბრძოლის ახალი მეთოდების დანერგვას.**

## ევროკავშირი დევნილებისთვის „უსაფრთხო ქვეყნების" სიას შეადგენს

**ევროკომისია მიგრაციული სისტემის რეფორმის ფარგლებში სთავაზობს „უსაფრთხო ქვეყნების" სიის შექმნას, რომელიც საშუალებას მისცემს ეროვნულ ხელისუფლებებს ოპერატიულად თქვან უარი თავშესაფრის მოთხოვნის განცხადებების დაკმაყოფილებაზე.**

**ევროკომისიამ განაახლა საინფორმაციო მასალები მიგრაციის საკითხთან დაკავშირებით, კერძოდ განიხილე სიებთან დაკავშირებული საკითხი.**

**კვირას ბრიუსელში ჩატარდა მინისამიტი მიგრაციის პრობლემებთან დაკავშირებით 16 ქვეყნის მონაწილეობით, რომელზეც მონაწილეთა უმრავლესობა დათანხმდა რომ საჭიროა აქტიური მუშაობა ტრანზიტულ ქვეყნებთან და მიგრაციული ნაკადების წარმოშობა, ამ სფეროში პრობლემების გადაჭრის მიზნით.**

## აზერბაიჯანმა რუსული ქათმები აკრძალა

**აზერბაიჯანის სოფლის მეურნეობის სამინისტროს ვეტერინარული კონტროლის სამსახურმა რუსეთის ტერიტორიიდან ქათმებისა და საფრინველე მეურნეობების პროდუქციის ქვეყანაში შეტანა აკრძალა. აზერბაიჯანმა დროებითი ემბარგო ცხოველთა ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის გაფრთხილების შემდეგ შემოიღო, ამის მიზეზი მოსკოვსა და მის ოლქში ქათმის გრიპის ეპიდემიაა. დაავადება დაფიქსირდა ასევე ორლოვის, კურსკის, პენზისა და რუსეთის სხვა რაიონების ქათმის ფერმებში.**

# გულის ჯიბით სატარებელი წიგნები

## მის სიმღერებს ხალხი მღერის

**ამ მინიატიურული წიგნის სატიტულო ფურცელს ბაგრატიონთა საგვარეულო გერბი ამშვენებს. გასაკვირი არცაა, მისი ავტორი, ვითარცა სამეფო ოჯახის შთამომავალი, სვეტიცხოვლის ტაძარში განისვენებს... ამ წმინდა სავანეში დაკრძალულთა შორის ოდენ ერთადერთი პოეტი...**




რთული იყო მისი „სიურრეალისტური“ ცხოვრების გზა... ციხის შემზარავი ჯურღმულებიდან, ერის უდიდესი სიწმინდის — სვეტიცხოვლის უნეტარეს წიაღამდე...

ვინც კი იცნობდა პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკის, ვინც კი დამტკბარა მისი პოეზიით, ვერც კი წარმოიდგენდა, თუ რაოდენ წინააღმდეგობრივი ცხოვრება ჰქონდა გამოვლილი ხალხის გულში სამუდამოდ ჩარჩენილ სასიმღერო პოეზიის ავტორს. ძნელად თუ მოიპოვებოდა მე-20 საუკუნის საქართველოში პოპულარული კინოფილმები, რომელთა სიმღერები პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკის ლექსებზე არ ყოფილიყო შექმნილი, იშვიათი იყო, მისი სიმღერები თანამედროვე ანსამბლებს რომ არ ემღერა.

მოკრძალებული, ღიმილიანი და ჩუმი ადამიანის შთაბეჭდილებას ტოვებდა ყოველთვის ბობოქარი, ტრაგიკული ცხოვრებაგამოვლილი თხემით ტერფამდე ჭეშმარიტი არისტოკრატი და მსოფლიოს ერთ-ერთი უძველესი სამეფო დინასტიის ბაგრატიონთა საგვარეულოს პირდაპირი შთამომავალი.

**„იგი ჭეშმარიტად ეროვნული წიაღიდან „ამოზიდული“ ტალანტია, „სოფლის“ სამდურავით გულდამძიმებული რიტორი და სიყვარულის მაღმერთებელი „ტრუბადურია“, ღრმად მწამებელია პოეზიის საკრალური სიბრძნისა და მისგან აღძრული სულიერი ძალმოსილებისა...“** — წერს წიგნის შესავალში, რომელიც საქართველოს ილია ჭავჭავაძის სახელობის მწიგნობართა ასოციაციამ გამოსცა, მისი შემდგენელი, ცნობილი მეცნიერი და ლიტერატურის კრიტიკოსი, ბატონი გურამ ბენაშვილი.

წიგნში თავმოყრილია პოეტის ლექსები და პოემა „ემიგრანტი“. პოეტი, ჯოჯოხეთური ისტორიული კატაკლიზმების მსხვერპლი, ცდილობდა, შეენარჩუნებინა სიმშვიდე და აუმღვრევლობა, რათა მის სულში არ ჩამქრალიყო სამყაროული ჰარმონიის, კაცთმოყვარეობის, სიკეთისა და სიმართლის დიად პრინციპთა რწმენა. ამ რწმენით იცხოვრა პეტრე ბაგრატიონი გრუზინსკიმ. მიუხედავად დიდი სულიერი ტკივილისა, რომელიც ნათლად ჩანს მის ადრეულ პოეზიაში, პოეტმა მაინც შეძლო, გამხდარიყო თავისი ლაღი ლექსებით სრულიად სახალხო პოეტი, შეძლო, მასზე შთამომავლობას ეთქვა — „შენს სიმღერებს ხალხი მღერის“. კვლავ ბატონ გურამს დავესესხები — **„ის უაღრესი გულწრფელობა, რაც ინტუიტიურად აღიქმება მკითხველის მიერ, მიიღწევა მისი ლექსალური ფორმის სისადავითა და სრული თავისუფლებით...“**

ეს ჭეშმარიტი პოეზიის მინიატიურული კრებული დასურათებულია მხატვარ გიორგი წერეთლის შესანიშნავი ჩანახატებით. წიგნის მთავარი რედაქტორი გახლავთ ქალბატონი ლია ნადარეიშვილი.

„გულის ჯიბით სატარებელი წიგნების“ კოლექცია კიდევ ერთი შესანიშნავი პოეტის კრებულით გამდიდრდა.

**მამუკა ვაშაკიძე**

# ელტონ ჯონის კონცერტთან დაკავშირებით დამატებითი სარკინიგზო რეისები ინიშნება



**მგზავრების თხოვნის გათვალისწინებით, საქართველოს რკინიგზა ელტონ ჯონის კონცერტთან დაკავშირებით, თბილისი — Black Sea Arena — ბათუმის მიმართულებით დამატებით რეისებს ნიშნავს.** 27, 28 და 29 ივნისს თბილისი-ბათუმის მიმართულებით მატარებელი №808-807 10:30 საათზე გავა, ხოლო ბათუმიდან 17:10 წუთზე გამოვა. 30 ივნისსა და 1 ივლისს კი Black Sea Arena-ზე ბრიტანელი მუსიკოსის კონცერტზე დასწრების მსურველებს თბილისი-ბათუმის მიმართულებით მოძრავი „შტადლერის“ ორსართულიანი მატარებელი მოემსახურებათ. მატარებელი (№888-887) თბილისიდან 14:10 საათზე გავა და Black Sea Arena-სთან მდებარე ბაქანზე 18:30 წუთზე ჩავა. კონცერტის დასრულების შემდეგ კი მატარებელი, იმავე ბაქნიდან თბილისის მიმართულებით, 00:15 საათზე გამოვა და დედაქალაქში 04:25 საათზე ჩამოვა. მგზავრებს ბილეთების შეძენა ცენტრალური ვაგზლის სალაროებში, რკინიგზის ოფიციალურ ვებ-გვერდსა და აპლიკაციის (Georgian Railway Tickets) საშუალებით შეეძლებათ.

# აკრძალული პრეზერვატივების პატრონი სამართლებრივ დავას ევროპულ სასამართლოში განაგრძობს

თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილებას ანანია გაჩეჩილაძე და მისი ადვოკატი თავისუფლების შეზღუდვად აფასებენ. ბრენდის დამფუძნებელი მათ პროფესიულ და სასამართლოს დაპირისპირებაზე საუბრობს.

**„თითოეულ მომხმარებელს შეუძლია, რომ ზუსტად ის დიზაინი შექმნას დაააწყოს, რომელიც მას თვითონ მოსწონს და არა ბრენდს... და ეს არის დაპირისპირება ჩვენი მხრიდან გამოხატვის თავისუფლების შეზღუდვაზე, რადგან მიუხედავად იმისა, ჩვენ მოგვწონს თუ არა კონკრეტული სლაიდები ან ფორმები, ამის მიუხედავად ყველაფერი უნდა იყოს ისე, როგორც სურს კონკრეტულ მოქალაქეს“,** — ამბობს ანანია გაჩეჩილაძე.




◎ ძალოსნობა

# თორნიკე ტაბატაძის აღზევება

**რამდენიმე დღის წინათ საჩხერეში, თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე ოლიმპიურ სკვერში, საქართველოს ძალოსნობის ნაკრების მთავარი მწვრთნელის, ოლიმპიურ ჩემპიონ გიორგი ასანიძისა და რიოს ოლიმპიადის გამარჯვებულის, პლანეტის უძლიერეს ძალოსან ლაშა ტალახაძის ვარსკვლავები, ასევე, ლაშა ტალახაძის სახელობის ძალოსნობის ახალი დარბაზი გაიხსნა. ამ ზეიმს დაესწრნენ ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტი, ოლიმპიური ჩემპიონი ლერი ხაბელოვი, საქართველოს ძალოსნობის ფედერაციის პრეზიდენტი, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი კახი კახიაშვილი და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მესვეურები.**

სწორედ ამ ახალ დარბაზში, რომელსაც ინვენტარის დიდი ნაწილი ძალოსნობის ეროვ-




ნულმა ფედერაციამ აჩუქა, 17-წლამდელთა საქართველოს ჩემპიონატი გაიმართა 100 სპორტსმენის მონაწილეობით. სამდღიანი დაძაბული ორთაბრძოლების შემდეგ კვარცხლბეკის უმაღლეს საფეხურზე ავიდნენ: საბა აბაშიძე (45 კგ, აჭარა, ოლიმპიური მზადების ცენტრი) – 129 (57+72), გიორგი ხარაზიშვილი (50, ხაშური, ომც) – 172 (77+95), ბაჩუკი შამილიშვილი (56, აჭარა, ომც) – 171 (70+101), მალხაზ გორგოშაძე (62, აჭარა) – 194 (83+111), გურამ გიორბელიძე (69, ქუთაისი) – 246 (109+137), ედუარდ კაკაბაძე (77, ქუთაისი) – 295 (135+160), ლომია თებიძე (85, აჭარა, ომც) – 301 (135+166), ირაკლი გაბაძე (94, საჩხერე) – 239 (106+133), თორნიკე ტაბატაძე (+94, ხაშური, ომც) – 343 (158+185).

სინკლერის ცხრილით გამოვლინდა საუკეთესო ექვსეული: არჩილ მალაყმაძე (აჭარა, 381,5 ქულა), ლომია თებიძე (374,9), ედუარდ კაკაბაძე (370), თორნიკე ტაბატაძე (350,7), გურამ გიორბელიძე (348,4) და ზაზა ლომთაძე (ქუთაისი, 344,5), რომლებიც სპეციალური პრიზებით დაჯილდოვდნენ. გუნდურში პირველი-მესამე ადგილები ასე განაწილდა: 1. აჭარა (226 ქულა), 2. ქუთაისი (207), 3. ხაშური (190).

17-წლამდელთა მძიმე წონაში (+94 კგ) ხაშურელმა თორნიკე ტაბატაძემ 158 კილოგრამი აიტაცა და კილოგრამით გააუმჯობესა ამ ასაკში ლაშა ტალახაძის საქართველოს რეკორდი, რომელიც მომავალმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა 2010 წელს ესპანურ სევილიაში 17-წლამდელთა კონტინენტის პირველობაზე დაამყარა. 50 კილოში გიორგი ხარაზიშვილმა 77 კილო აიტაცა, 95 კილო აკრა და ორჭიდში 172 კილოს მოუყარა თავი. სამივე შედეგი 15-წლამდელებში საქართველოს ახალი მიღწევაა. ამ ასაკში ოლიმპიური ჩემპიონ გიორგი ასანიძის უმცროსმა ვაჟმა საბა ასანიძემ 136 კილო აკრა, რაც, ასევე, რეკორდია.

საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების მთავარი მწვრთნელის – ზურაბ ანთაურის ხელმძღვანელობით დღეს საჩხერეში დაიწყო 15- და 17-წლამდელთა საწვრთნელი შეკრება. 13 სპორტსმენი (8 ჩვიდმეტწლამდელი და 5 თხუთმეტწლამდელი) 20 ივლისს იტალიას მიაშურებს, სადაც 22-29 ივლისს მილანი ჭაბუკ ძალოსანთა ევროპის სალიცენზიო ჩემპიონატს უმასპინძლებს – ამ შეჯიბრებაზე მსოფლიოს ახალგაზრდობის 2018 წლის მესამე ოლიმპიური თამაშების საგზურები გათამაშდება.

**ლექსო ცინცაძე**

◎ მუნდიალი 2018

# ირანული პორტუ-გოლია

**კი ვამბობთ, თამაშს ვარსკვლავები იგებენო, მაგრამ ხშირად რატომღაც გვავიწყდება, რომ გუნდის სტრატეგიასა და ტაქტიკას მწვრთნელი ირჩევს.**

ასეთი შესავალი ირანის ნაკრებმა და მისმა პორტუგალიელმა თავკაცმა კარლუშ კეიროშმა გვიკარნახა, რომელმაც ჩვენს სამეზობლოში 8-წლიანი მოღვაწეობის განმავლობაში შეგირდები ერთ-ერთ უძლიერესებად აქცია აზიაში და ზედიზედ მეორედ გაიყვანა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალურ რაუნდში. მერე როგორ!

მისი თანამემამულენი უფალს მადლობას უნდა სწირავდნენ, უკანასკნელ წამებზე ბურთი გარედან რომ აფართახლდა პატრისიუს კარის ბადეში. მართლაც, რა ადვილი ყოფილა ალმართიდან დაღმართზე დაშვება – ევროპის ჩემპიონმაც კი ბეწვის ხიდზე გაიარა, მუნდიალის მერვედფინალის საგზური რომ მოეპოვებინა – 1:1.

არადა, მანამდე იყო კვარეჟმას მიერ გარე ტერფით გატანილი გოლი – შედევრი, რონალდუს გაცუდებული პენალტი და, რაც მთავარია, პარაგვაელ მსაჯთა ბრიგადის (მთავარი არბიტრი – კასერესი) მარტვილობა, რომელსაც სამჯერ(!) დასჭირდა სადავო სიტუაციებში გადაწყვეტილებების მისაღებად ვიდეორეფერის დახმარება.

პარალელურად მიმდინარე შეხვედრაში ღირსეულად მოთამაშე მაროკომ, როგორც იქნა, შეწყვიტა მშრალი სერია და ესპანეთთან კინაღამ სენსაცია გამოაცხო – 2:2.

**„ბ“ ჯგუფის საბოლოო ცხრილი:** ესპანეთი, პორტუგალია – 5-5, ირანი – 4, მაროკო – 1 ქულა.

**„ა“ ჯგუფი:** რუსეთი – ურუგვაი 0:3, საუდის არაბეთი – ეგვიპტე 2:1.

ურუგვაი – 9, რუსეთი – 6, საუდის არაბეთი – 3, ეგვიპტე – 0 ქულა.

**პლეი-ოფში ითამაშებენ:** ესპანეთი – რუსეთი (1 ივლისი), ურუგვაი – პორტუგალია (31 ივნისი).

**გიორგი შოთაძე**



◎ ჩოგბურთი

# წყვილებში ყველას აჯობა




**თბილისელი ეკატერინე გორგოძე შვეიცარიაში ჩოგბურთელ ქალთა 25.000-იანი საერთაშორისო ტურნირის წყვილთა შეჯიბრებაში უზბეკ აქგულ ამანმურადოვასთან ერთად ასპარეზობდა. ქართულ-უზბეკურმა დუეტმა სტარტზე ტაისია და იანა მორდეგერებს (გერმანია) სძლია – 6:3, 6:3, მეოთხედფინალში კარინ კენელი და ამრა სადიკოვიჩი (ორივე-შვეიცარია) არ გამოცხადდნენ. ეკატერინემ და აქგულმა ნახევარფინალში ლეონი კუნსა და ტაისა გრანა პედრეტს (ბრაზილია) საათსა და 14 წუთში აჯობეს – 6:4, 7:5 და ფინალში გავიდნენ, სადაც ასპარეზობის რეიტინგფავორიტებს – ლუსი ჰრადეცკასა (ჩეხეთი) და იუკი ნაიტოს (იაპონია) დაუპირისპირდნენ. შეხვედრა 57 წუთს გაგრძელდა. გორგოძემ და ამანმურადოვამ 6:2, 6:2 გაიმარჯვეს და პირველი ადგილი დაიკავეს...**

წინა კვირის შედეგების მიხედვით ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ განახლებული რეიტინგი გამოაქვეყნა. ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

**ერთეულები.** 256 (259). ეკატერინე გორგოძე (196 ქულა), 428 (387). სოფიო შაფათავა (86), 429 (425). მარიამ ბოლქვაძე (85), 1057 (1049). ზოია ქარდავა (7), 1067 (1062). სალომე დევიძე (7), 1214 (1204). ოქსანა კალაშნიკოვა (3).

**წყვილები.** 63 (63). ოქსანა კალაშნიკოვა (1185), 196 (195). სოფიო შაფათავა (365), 338 (338). ეკატერინე გორგოძე (186), 645 (639). მარიამ ბოლქვაძე (52), 773 (764). თათია მიქაძე (34), 836 (836). სალომე დევიძე (28).

ვაჟთა რეიტინგში ცხრა საფეხურით დაწინაურდა ნიკოლოზ ბასილაშვილი, რომელიც ახლა 722 ქულით 76-ე ადგილზეა.

**გივი გაგუა**

◎ რა ენა წახდეს...

# სიტყვა ჰეთთრიკს ფეხბურთთან კავშირი არ ჰქონია!

**გლობალიზაციის პირობებში სპორტი სულ უფრო მეტად აახლოებს სხვადასხვა ქვეყნის წარმომადგენლებს. ეს ურთიერთობები, ცხადია, ამა თუ იმ ენის ლექსიკაზეც აისახება. სიტყვათა სესხება ენის ლექსიკური ფონდის გამდიდრების ერთ-ერთი ძირითადი წყაროა.**




დღევანდელი სასპორტო პრესის ექსპრესიულ ენობრივ საშუალებებში განსაკუთრებული ადგილი უკავია ჟარგონულ ლექსიკას, რადგან მისი მეშვეობით მეტყველება იძენს სიცხადეს, ხატოვნებას, ემოციურობასა და ექსპრესიულობას ირონიის, ხუმრობის, დაცინვის, საყვედურის, სიძულვილისა თუ სიყვარულის ელფერით.

ჟარგონი – ეს არის ლიტერატურული ენისგან განსხვავებული გარკვეული სოციალური წრისთვის გასაგები ერთგვარი ენა, რომელიც კანონებს არ ექვემდებარება, რადგან მასში ძალიან ბევრია ხელოვნური, ხანდახან პირობითი სიტყვები და გამოთქმები.

ჟარგონული ლექსიკა საუკუნეების განმავლობაში იბრძოდა „დაბალი ფენიდან“ „გაბატონებულ საზოგადოებაში“ მოსახვედრად. მან ეს მოახერხა და დაიმკვიდრა ადგილი სალიტერატურო ენაში. რაც უწინ ენის სტანდარტებთან შეუსაბამო იყო და ნებადაურთველი, დღეს მას სხვადასხვა სფეროს ადამიანები აქტიურად იყენებენ. მართალია, ჟარგონულ ენაში ყველაფერი როდია მისაღები, თუმცა, ისიც გასათვალისწინებელია, რომ ის მეტყველებას ალამაზებს.

ამ თვალსაზრისით ერთობ საინტერესოა ჟარგონ ჰეთთრიკის წარმოშობისა და დამკვიდრების ისტორია. ეს ინგლისური სიტყვაა (a hat – ცილინდრი, a trick – ოინბაზობა, ტრიუკი) და პირდაპირი გაგებით ქართულად ცილინდრით ოინბაზობას ნიშნავს.

ერთი ვერსიით, 1858 წელს კრიკეტის მოთამაშე ჰიტფილდ ჰარმან სტივენსონს ზედიზედ სამჯერ გაუვლია ჭისკარი (калитка). ეს ოინბაზობა ძალიან მოსწონებიათ ფანებს, შეუგროვებიათ ფული და ამ წარმატებისთვის სტივენსონისთვის ცილინდრი უყიდიათ. ამ შემთხვევის შემდეგ ვინც ზედიზედ სამ ურთულეს დარტყმას შეასრულებდა, აღიარების ნიშნად ცილინდრს მიართმევდნენ.

სხვა ვერსიით, ეს სიტყვა წარმოიშვა ინგლისში ოდესღაც პოპულარული ხალხური თამაშის გავლენით: ხის ფიგურებისთვის თავზე წამოცმული ცილინდრები მოთამაშეებს ბურთით უნდა მოეძროთ. ვინც ამას ზედიზედ სამჯერ შეძლებდა, გამარჯვებულად გამოცხადდებოდა, ამ მიღწევას კი ჰეთთრიკს უწოდებდნენ.

დღეს უკვე ტერმინად დამკვიდრებული ეს ჟარგონი სპორტის რამდენიმე სახეობაში გამოიყენება, უფრო – ფეხბურთში, როცა ერთ მატჩში ერთი მოთამაშე სამ ბურთს გაიტანს.

ამ სიტყვასთან დაკავშირებით ორი უჩვეულო ამბავიც გვინდა გავიხსენოთ: 1996 წლის ბელგიის ჩემპიონატში „ანდერლეხტთან“ შეხვედრისას კლუბ „ეკერენის“ ფეხბურთელმა სტან ვან დენ ბიუსმა სამჯერ მოათავსა ბურთი საკუთარი კარის ბადეში და თანაგუნდელებს 2:3 წააგებინა.

ორი მსოფლიოს ჩემპიონატის (1998, 2002) მონაწილე პარაგვაელი მეკარე ხოსე ლუის ფელიქს ჩილავერტ გონსალესი ერთადერთი მეკარეა მსოფლიოში, რომელმაც 1999 წლის ნოემბერში ჰეთთრიკი შეასრულა: არგენტინული კლუბების - „ველეს სარსფილდისა“ და „ფეროკარილ ოესტეს“ შეხვედრისას ჩილავერტმა „ოესტეს“ მეკარეს თერთმეტმეტრიანის ნიშნულიდან სამი ბურთი გაუტანა და „ველესმა“ 6:1 გაიმარჯვა. პარაგვაელმა მეკარემ კარიერის განმავლობაში საჯარიმო დარტყმებითა და პენალტებით 62 გოლი მიითვალა.

აქვე ჰეთთრიკის მართლწერაზეც გვინდა გავამახვილოთ ყურადღება: ინგლისურ ენაში ამ ტერმინში შემავალი სიტყვები ცალ-ცალკეც იწერება (ალბათ, ეს უფრო მართებულია) და დეფისითაც, რუსულში – მხოლოდ დეფისით. მიგვაჩნია, რომ ქართულში ერთად უნდა დაიწეროს, რადგან ერთ ცნებას აღნიშნავს.

ჟარგონული წარმოშობისაა ინგლისური სასპორტო ტერმინები: ჰავბეკი (half – ნახევარი, back – უკან) – ნახევარმცველი, ლაინსმენი (line – ხაზი, man – კაცი) – გვერდითი მსაჯი, სტოპერი (stopper – საცობი) – ცენტრალური მცველი, კორნერი (corner – კუთხე) – წლების წინათ ეს ტერმინი კუთხურის პარალელურად გამოიყენებოდა.

ეს სიტყვები დღეს პროფესიულ ტერმინებად გამოიყენება მეტყველების ექსპრესიულობის გასაძლიერებლად, თუმცა, მათი უმრავლესობისთვის ქართული შესატყვისები გვაქვს და, ენის სიწმინდის შესანარჩუნებლად, უცხოურ ტერმინთა გამოყენება თუ დამკვიდრება მიზანშეუწონელია.

**ვაჟა დანელია**

გახსენება 100 წლის შემდეგ!

# 1918-1921 წლების კავკასიის დამოუკიდებლობის ყველა მკვლევარი ერთად – თბილისის დედაუნივერსიტეტში

**25 ივნისს თბილისში ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტში გაიხსნა ექვსდღიანი მასშტაბური კონფერენცია, სახელწოდებით „საქართველოს პირველი დემოკრატიული რესპუბლიკის გახსენება 100 წლის შემდეგ“, რომელშიც ასი წლის წინანდელი კავკასიის დამოუკიდებლობაზე მომუშავე თითქმის ყველა ცნობილი მკვლევარი მიიღებს მონაწილეობას.**




როგორც ისტორიკოსმა და ამ კონფერენციის ერთ-ერთმა მონაწილემ ბექა კობახიძემ, გავითხრა მსოფლიოს წამყვანი უნივერსიტეტებიდან კონფერენციისთვის თბილისში სპეციალურად ჩამოვიდნენ 1918-1921 წლების კავკასიის დამოუკიდებლობის საუკეთესო მკვლევრები, რომლებიც მთელი კვირის განმავლობაში ქართველი საზოგადოების წინაშე საინტერესო მოხსენებებით წარდგებიან:

**„ზოგი მათგანი ამ საკითხს 1950-70-იანი წლებიდან სწავლობს – ჯერ კიდევ იმ დროიდან, როცა საქართველოში ამ პერიოდის შესწავლა შეუძლებელი იყო. და ეს არის პირველი შემთხვევა, როდესაც ეს ადამიანები ყველანი ერთად შეიკრიბნენ, თანაც, თბილისში, სადაც ასი წლის წინათ გამოცხადდა ამიერკავკასიის სამივე ქვეყნის დამოუკიდებლობა“.**

კონფერენცია თსუ-ს შემდეგ გაგრძელდება საქართველოს ეროვნულ მუზეუმში, ასევე ეროვნულ არქივსა და ეროვნულ ბიბლიოთეკაში. მისსავე ფარგლებშია დაგეგმილი საზაფხულო სკოლაც, სადაც დამსწრეებს შესაძლებლობა ექნებათ, მიიღონ, ფაქტობრივად, ამომწურავი ინფორმაცია პირველი რესპუბლიკის ყველა ასპექტის შესახებ.

თბილისს სტუმრობენ ისეთი ცნობილი მკვლევრები, როგორებიც არიან ერიკ ლი, რიჩარდ ჰოვანესიანი, სტივენ ჯონსი და სხვები. ისინი ქართველ ისტორიკოსებთან ერთად შეეცდებიან, მიმოიხილონ 1918-1921 წლების კავკასიაში მიმდინარე პროცესები.

სტივენ ჯონსისთვის საინტერესოა დაკვირვება იმაზე, თუ რას მიაღწიეს იმ სამ წელიწადში: **„როგორი იყო მართვის ის მოდელი, რომლის მიღწევაც სურდათ; როგორი იყო მათი ლიბერალური კონსტიტუცია; რა რთულ პირობებში სურდათ რეფორმების განხორციელება, რომელთაგან ზოგი გაატარეს კიდეც, ზოგიც ვერა. თუმცა არ უნდა დავივიწყოთ, რომ ასეთი სერიოზული რეფორმების გასატარებლად მაშინ ქვეყანაში არ არსებობდა სათანადო ეკონომიკურ-პოლიტიკური პირობები. ისინი ცდილობდნენ, ლიბერალური დემოკრატიისთვის დამახასიათებელი რეფორმები გაეტარებინათ ქვეყანაში, რომელსაც არ ჰქონდა ფული, რომელსაც არ ჰყავდა სამოქალაქო საზოგადოება და მუდმივი მუქარის ქვეშ იმყოფებოდა რუსეთის მხრიდან და არანაირ დახმარებას არ იღებდა დასავლელ ევროპისა თუ ამერიკის შეერთებული შტატებისგან. სწორედ ამ ფაქტორების გათვალისწინებით, ის, რასაც მათ მიაღწიეს, იყო საკმაოდ შთამბეჭდავი“.**

ამ კონფერენციის ფარგლებში წაკითხული მოხსენებები ორ ენაზე (ქართულად და ინგლისურად) წიგნად შეიკვრება, რაც, ბექა კობახიძის შეფასებით, ისტორიკოსებისთვის ძალიან მნიშვნელოვანია – მით უმეტეს, თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ საკითხზე, თან ინგლისურად, ლიტერატურა ძალიან ცოტაა. ამიტომ ეს ახალი გამოცემა პირველი რესპუბლიკის შესახებ წიგნების თაროზე განსაკუთრებულ ადგილს დაიკავებს.

**ეკა ქევხიშვილი**

## მარჯანიშვილზე მაღაზია გაქურდეს!

**მეტრო მარჯანიშვილის მიმდებარე ტერიტორიაზე, მაღაზია გაქურდეს.** შემთხვევის ადგილზე პოლიცია და ექსპერტ-კრიმინალისტები მუშაობდნენ. როგორც „პირველ რადიოს“ შსს-ში განუცხადებს, მომხდარზე საქმე 177-ე ქურდობის მუხლით არის აღძრული, დანაშაული ცხელ კვალზეა გახსნილი, დამნაშავე კი დაკავებული.

## ბორჯომში სასაფლაოს ღობეები მოიპარეს

**ქურდობა ბორჯომის მუნიციპალიტეტში – არდაგანის დასახლებაში სასაფლაოს ღობეები მოიპარეს. წაღებულია ალუმინის დეტალები.**

ადგილობრივი მოსახლეობა ამბობს, რომ ამ ტერიტორიაზე ეს ქურდობის პირველი შემთხვევა არ არის. ინფორმაციას ბორჯომის ტელევიზია ავრცელებს.

მომხდარზე გამოძიება უკვე დაიწყო მუხლით, რომელიც ჯარიმის ან ორ წლამდე ვადით პატიმრობას ითვალისწინებს.

# ეკა ლალიაშვილი: საქართველოში ავტოავარიების მზარდი ტენდენციაა

## მსგავს შემთხვევაში პასუხისმგებლიან ქვეყანაში საგანგებო რეჟიმი გამოცხადდებოდა

**წინა წელთან შედარებით ავტოავარიების მზარდი ტენდენცია შეინიშნება, – ამის შესახებ „საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარემ ეკა ლალიაშვილმა პრესკონფერენციაზე განაცხადა. მისი თქმით, ასეთი რამ რომ პასუხისმგებლიან ქვეყანაში ხდებოდეს, პრემიერ-მინისტრის სპეციალური დავალება იქნებოდა გაცემული და გაზრდილი ავტოსაგზაო შემთხვევების მიზეზების ძიება დაიწყებოდა.**



„წინა წელთან შედარებით ავტოავარიების მზარდი ტენდენცია შეინიშნება. ბოლო დროს გვესმის საგზაო შემთხვევების შესახებ, რომელში დაზარალებული არა ერთი და ორი, არამედ ათეულობით ადამიანია. დამერწმუნეთ, მსგავსი შემთხვევა პასუხისმგებლიან ქვეყანაში რომ ხდებოდეს, რომელიც საგზაო უსაფრთხოებაზე ზრუნავს, აუცილებლად საგანგებო რეჟიმი გამოცხადდებოდა, დაიწყებოდა მიზეზების ძიება და პრემიერ-მინისტრის სპეციალური დავალება იქნებოდა გაცემული. ჩვენს შემთხვევაში ეს არის თითქოს ჩვეულებრივი ამბავი. ხდება ავტოსაგზაო შემთხვევები, საქმე აღიძვრება 276-ე მუხლით და სამწუხაროდ, აღარ ვიცით შედეგები, რას აკეთებს ხელისუფლება იმისთვის, რომ მსგავსი შემთხვევა აღარ განმეორდეს.

**„ე.წ. საგზაო შემთხვევების სეზონი იწყება. ზაფხულის პერიოდი არის გახშირებული ავტოავარიების პერიოდი, როდესაც გზებზე გადაადგილება ხშირდება და ინტენსიური ხდება ავტოსაგზაო შემთხვევებიც. ამიტომ, ამისთვის სახელმწიფოს მხრიდან უნდა იყოს სამზადისი, რომ ალკვეთილ იქნეს მსგავსი შემთხვევები“,** – განაცხადა ლალიაშვილმა.

„საქართველოს ალიანსი უსაფრთხო გზებისთვის“ გამგეობის თავმჯდომარემ აუდიტის ბოლო თვეების დასკვნაზეც ისაუბრა. როგორც ლალიაშვილმა აღნიშნა, აუდიტის კვლევა აჩვენებს, რომ მძღოლებს ბოლო პერიოდში იმის განცდა გაუჩნდათ, რომ მათი დარღვევები არ კონტროლდება.

ლალიაშვილი პრესკონფერენციაზე წეროვანთან მომხდარ ავტოსაგზაო შემთხვევასაც შეეხო, რომლის დროსაც 18 ადამიანი დაშავდა, 1 კი გარდაიცვალა. მისი თქმით, სატრანზიტო გადაზიდვების დროს მნიშვნელოვანია, რომ მძღოლს დასვენების რეჟიმი დაცული ჰქონდეს, რაც საქართველოში არ კონტროლდება და ეს უცხოელმა მძღოლებმაც იციან.

მისივე ინფორმაციით, გომბორის გზაზე რამდენიმე კვირის წინათ მომხდარი ავარიის მონაწილე სამარშრუტო ტაქსს 2016 წლის მერე არ ჰქონია ტექინსპექტირება გავლილი.

**„მძღოლები, რომლებიც მუდმივად არღვევენ საგზაო მოძრაობის წესებს, მათ უნდა ემუქრებოდეთ პატიმრობა. უბრალოდ, ჩვენი კანონის ხარვეზი არის ის, რომ ადმინისტრაციულიდან ვერ გადავდივართ სისხლის სამართლის კოდექსზე თუ დაღუპვის ფაქტი არ დაფიქსირდა“,** – აღნიშნა მან.

როგორც ლალიშვილმა განაცხადა, დამონტაჟებული ე.წ. ჭკვიანი კამერების რაოდენობა ძალიან მცირეა და მათი ნაწილი არ მუშაობს.

**„ე.წ. ჭკვიანი კამერებისა და უკონტაქტო პატრულის თემა შარშან გაჟღერდა. ჩვენ მოლოდინი გვქონდა, რომ რამდენიმე ათასი „ჭკვიანი კამერა“ დამონტაჟდებოდა. თუმცა აღმოჩნდა, რომ კამერების რაოდენობა არის ძალიან მცირე და ზოგი მათგანი არც მუშაობს. ჩვენ გვაქვს ბოლო ინფორმაცია, რომ ეს კამერები შეძენილია, თუმცა მათი დამონტაჟების პროცესი დროში ჭიანურდება“,** – აღნიშნა მან.

COMMERSANT.GE

# როგორ გაივლიან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას მარჯვენასაჭიანი ავტომობილები

**მარჯვენასაჭიანი ავტომობილები პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას ისევე გაივლიან, როგორც სხვა ტიპის ავტოსატრანსპორტო საშუალებები. ამავე დროს, გასათვალისწინებელია ის გარემოება, რომ მარჯვენასაჭიანი ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებმაც პირველადი რეგისტრაცია გაიარეს 2018 წლის პირველი იანვრიდან, აღნიშნული თარიღის შემდეგ ვერ გაივლიან პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას საჭის მართვის სისტემაში დამატებითი ცვლილების განხორციელების შემთხვევაში.**



ასევე აღსანიშნავია, რომ ის ავტოსატრანსპორტო საშუალებები, რომლებმაც გაიარეს პირველადი ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის პირველი იანვრიდან და ინსპექტირების ანგარიშში დაფიქსირდა საჭის მდებარეობა, ვერ გაივლიან შემდგომ პერიოდულ ტექნიკურ ინსპექტირებას მისი მდებარეობის შემდგომი ცვლილების (საჭის გადატანის) შემთხვევაში.

საქართველოში სავალდებულო პერიოდული ტექნიკური ინსპექტირება 2018 წლის პირველი იანვრიდან ამოქმედდა. ყველა ავტოსატრანსპორტო საშუალებისთვის პერიოდული ტექნიკური ინსპექტირების სრულად ამოქმედებისათვის გარკვეული გარდამავალი პერიოდი დაწესდა და ინსპექტირების მთელი პროცესი 2 წელზე გადანაწილდა. რაც შეეხება კონკრეტულ დეტალებს, რომელი კატეგორიის მანქანები, რა ვადაში გაივლიან ინსპექტირებას და რა მოეთხოვებათ მათ, ამის შესახებ დეტალური ინფორმაცია გაწერილია ტექნიკურ რეგლამენტში, რომელიც საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა. გრაფიკი გაწერილია ავტომანქანების რეგისტრაციის თარიღის (თვისა და რიცხვის) მიხედვით, რაც, პირველ რიგში, შესაბამისი ავტოსატრანსპორტო საშუალების მფლობელებს მისცემს საკმარის ვადას, მოემზადონ პერიოდული ტექნიკური ინსპექტირებისთვის.

# კაჩინსკის ქუჩაზე ორი უცხოელი სცემეს

**თბილისში, კაჩინსკის ქუჩაზე ორ უცხოელსა და საქართველოს 7-მდე მოქალაქეს შორის მომხდარი კონფლიქტის შედეგად დაშავდნენ უცხოელები, ორი მათგანი დაზიანებებით გვიან ღამით საავადმყოფოში გადაიყვანეს.**

მომხდარის მიზეზები გაურკვეველია დაზარალებულებისთვის.

ვითარება ადგილზე მისულმა საპატრულო ეკიპაჟებმა განმუხტეს. მომხდარი სავარაუდოდ აღბეჭდილი აქვს მიმდებარე ტერიტორიაზე დამონტაჟებულ სათვალთვალო კამერებს.

ინციდენტის თვითმხილველები სამგორის რაიონის პოლიციაში გვიან ღამემდე იკითხებოდნენ. გამოძიება ძალადობის მუხლით მიმდინარეობს.



## იაპონელი განდეგილი ხალხს დაუბრუნდა

**იაპონელმა განდეგილმა თითქმის 30 წელი კუნძულ სოტობონაქრიზე გაატარა.** „იაპონელმა რობინზონმა“ მასაფუმი ნაგასაკიმ, რომელიც ახლა 82 წლისაა, კუნძულზე ტანსაცმლის, ელექტროენერგიისა და წყალგაყვანილობის გარეშე იცხოვრა. ქვეყნის მთავრობამ მას კუნძულის დატოვება მოსთხოვა და სამედიცინო დაწესებულებაში გადაიყვანეს. მის განდეგილ ცხოვრებაზე დოკუმენტური ფილმი ალვარო სერეზომ გადაიღო, სადაც მამაკაცი აცხადებდა, რომ ცივილიზაციაში დაბრუნებას არ აპირებდა. ფილმში ნაგასაკი თავის ბიოგრაფიაზე ძალიან ცოტას ყვება, გადაწყვეტილება განერიდოს ხალხს, კი მაშინ გადაწყვიტა, როდესაც გააცნობიერა ბუნების დაბინძურების მასშტაბები. **„აქ ამ კუნძულზე მე არ ვაკეთებ იმას, რასაც მეუბნებიან, მე ბუნების წესებით ვთამაშობ, შენ არ შეგიძლია ბუნებაზე დომინირება, შენ მას მთლიანად უნდა დაექვემდებარო“,** — აცხადებს ნაგასაკი.

## რას არ გაიგებ...

● **ადამიანის ორგანიზმში ალკოჰოლი ჯერ შხამიან ალდეჰიდად, შემდგომ კი უსაფრთხო აცეტადად გარდაიქმნება, რომელიც მას ადვილად გამოჰყავს, ამასთან, თუ ტიპურ ევროპელში ალდეჰიდის დაჟანგვის პროცესი საკმაოდ სწრაფად ხდება, სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიისა და ახლო აღმოსავლეთის მცხოვრებში ის თითქმის სრულად დაბლოკილია, რაც იმის მიზეზია, რომ მათში სპირტიანი სასმელის უმნიშვნელო ულუფაც კი საშინელ რეაქციას იწვევს.**



● ბავშვის ლამაზად ჩაცმა სულ პატარა ასაკიდანაა საჭირო, თანაც აუცილებელი არ არის, ძვირიანი ტანსაცმელი შეუძინოთ, მთავარია, ყველაფერი ერთმანეთს ეხამებოდეს, რაც მას გემოვნებას თანდათანობით ჩამოუყალიბებს.

● რაც უფრო ასაკოვანი ხდება კაცი, მით უფრო მეტად სჭირდება მეხსიერების ვარჯიში, საამისოდ კი საჭიროა კითხვა, კროსვორდების ამოხსნა, ლექსების სწავლა, ახალი ყოფითი ტექნიკის ათვისება.



● მარწყვი ლიბიდოს (სექსუალურ აქტივობას) ზრდის როგორც მამაკაცებში, ისე ქალებში, ამის მიზეზი კი მასში ცინკის მაღალი შემცველობაა.

● ახლო აღმოსავლეთში კატა 9 ათასი წლის წინათ მოაშინაურეს, ძველ ეგვიპტეში ის წმინდა ცხოველად ითვლებოდა, ხოლო მისი მუმიები და გამოსახულებები ყველა ფარაონის სამარხშია აღმოჩენილი.




— უკანასკნელად გეკითხებით, მიყიდით თუ არა ნაყინს?

ამირან ერაძის ნახატი-ხუმრობა.

## გაუფრთხილდით თვალისჩინს!

**ხანდაზმულ ასაკში მხედველობის დაქვეითება ფიზიკური და გონებრივი აქტივობის შესუსტებას იწვევს, დაადგინეს გერმანელმა ექიმებმა.**

ეს დასკვნა მათ 77-დან 101 წლამდე ასაკის თითქმის 2,:5 ათასი კაცის გამოკითხვის შედეგად გამოიტანეს. მოხალისეებს კითხვებს 9 წლის მანძილზე ყოველ 18 თვეში უსვამდნენ. ისინი ველოსიპედით სიარულის, ცურვის, ტანვარჯიშის, სეირნობის, ბაღში მუშაობის, სხვათა მოვლისა და ა.შ. საკითხებს ეხებოდა. გარდა ამისა, მეცნიერები არკვევდნენ, თუ რამდენად ხშირად კითხულობდნენ წიგნებს, უსმენდნენ მუსიკას, ხსნიდნენ კროსვორდებს, თამაშობდნენ ჭადრაკს, ბანქოს, სამაგიდო თამაშებს, ანდა ეწეოდნენ საზოგადოებრივ მოღვაწეობას.



ასევე მონაწილეებმა შეაფასეს თავიანთი მხედველობა. აღმოჩნდა, რომ მისი დაქვეითება გონებრივი და ფიზიკური აქტივობის დაქვეითებასთანაა დაკავშირებული.

## რით ვკვებოთ გული?

**დამტკიცებულია, რომ კვირაში ორჯერ თევზის მოხმარება გულის დაავადებათა განვითარების საფრთხეს 30 პროცენტით ამცირებს.**

პოლიგაჯერებული ცხიმიანი ომეგა-3 მჟავების შემცველობის მხრივ თევზი უდავო რეკორდსმენია. ისინი კი სისხლში



ლიპიდებისა და ქოლესტერინის შემცველობას არეგულირებენ.

თევზის რაციონი ხელს უშლის ათეროსკლეროზის განვითარებას, რომელიც გულისა და სისხლძარღვების კატასტროფების ერთ-ერთი მთავარი მიზეზია. ამის გარდა, გულისთვის ძალიან სასარგებლოა კალიუმით მდიდარი მცენარეული საკვები (ლებნიანები, მარცვლეული, ნიგოზი), ასევე დიდი ოდენობით უჯრედოვანას შემცველი ხილი და ბოსტნეული.

## შუქით, მაგრამ უძილოდ

**ელექტრობა ძილის ნაწილს გვართმევს, მიაჩნიათ ამერიკელ ექიმებს.**

მკვლევარებმა დაკვირვება აწარმოეს არგენტინის ინდიელთა ერთ-ერთი ტომის მონადირეებზე და გაირკვა, რომ იმ სოფლებში, სადაც ელექტრობა იყო გაყვანილი, ადამიანებს დღე-ღამეში თავიანთ „უშუქო“ მეზობლებზე ერთი საათით ნაკლები ეძინათ.



ამ და ძილთან დაკავშირებულ ზოგიერთი სხვა პარამეტრის კვლევის შედეგად მეცნიერებმა დაადგინეს, რომ ელექტრობა ერთ-ერთი ფაქტორია, რომელიც ძილის ხარისხზე ცუდად მოქმედებს.

საქართველოს რესპუბლიკა

SAKARTVELOS RESPUBLIKA

კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“

იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს—323

ISSN 2233-3851

9 772233 385001

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად გამოიწერე, იყიდე, წაიკითხე!

სრ

**უცხოური ვალუტის კურსი:**

აშშ დოლარი - 2.4531; ევრო - 2.8561;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2504;
100 რუბლი - 3.8977; თურქული ლირა - 0.5195;
აზერბაიჯანული მანათი - 1.4436;
1000 სომხური დრამი - 5.0894.

**ამინდი 27 ივნისისთვის**

| | | |
|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +13, | დღე +33 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | |
| ბარი - | ღამე +19, | დღე +37 |
| მთიანი რაიონები - | ღამე +15, | დღე +35 |
| თბილისი: | ღამე +21, | დღე +36 |

**დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:**

ტელ: 293-13-34,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge